№ 68
(11 217)

28 – 31 აგვისტო, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

# ცინცხალი ამბები

## ლერი ხაბელოვი ცხოვრების კვარცხლბეკზე

ცნობილი ფალავანი, თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ლერი ხაბელოვი დღეს ცნობილი ბიზნესმენია და ამ სფეროშიც ისეთივე ავტორიტეტი და პატივისცემა დაიმსახურა, როგორც სპორტში.

„ლელოს" რედაქციისთვის გახდა



ცნობილი, რომ ლერი ხაბელოვი სულ მალე შეიძლება საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე ვიხილოთ. ვფიქრობთ, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეროვნულ სპორტს უჭირს მატერიალურად და ლერი ხაბელოვი თავისი ურთიერთობებით ამ სფეროს სასიკეთოდ წაადგება, არამედ იმიტომაც, რომ ლერი ორი მეზობელი და მეგობარი ხალხებისათვის, ოსებისა და ქართველებისთვის ერთნაირად საყვარელი და ავტორიტეტული პიროვნებაა, ეს დანიშვნა ძალიან მნიშვნელოვან პოლიტიკურ ჟღერადობასაც იძენს. სპორტს არაერთხელ დაუჩქარებია ხალხების შერიგება და გადაულახავს უნდობლობის ბარიერი. დაე, აქაც ასე იყოს.

საკუთარი ინფორმაცია

## რინგი

### ფინანსთა სამინისტრო თუ სპორტის დეპარტამენტი?



ეს „შერკინება" სულ მალე გაიმართება ფინანსთა სამინისტროში, სადაც სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა საგაისო ბიუჯეტისთვის წლევანდელზე მეტი სახსრების გამოყოფას უნდა მიაღწიოს. გახსოვთ ალბათ, მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტმა მიიღო ჩვენი სპორტული დელეგაცია, მიულოცა წარმატება და როგორც ბავშვებს, ისე სპორტის ფუნქციონერებს აღუთქვა, რომ გაისისთვის სპორტისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს გააორმაგებდა. იმისათვის, რომ პრეზიდენტი უხერხულობაში არ ჩააგდონ, მომავალი ხარჯები დეპარტამენტმა პრეზიდენტის დანაპირებამდე შეამცირა. სურათი კი ასეთია: წლევანდელი 4 მილიონ 200 ათასი პლუს კიდევ ამდენი, სულ 8 მილიონ 400 ათასი. თითოეული ლარი გათვლილია, თანაც, დაგვერწმუნებით, ძალზე ეკონომიურად.

დეპარტამენტი ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამისთვის ცალკე მოითხოვს ერთ მილიონ ლარს. შავი ზღვის თამაშების მასპინძლობისთვის (2002 წელი) კი თითო მილიონს ბათუმში, ფოთში და თბილისში სპორტული ბაზების მოსაწესრიგებლად.

საკუთარი ინფორმაცია

## მილოცვა

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს დედაქალაქის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის მთავარ ექიმს *მამუკა ვირუბოვს.*

## ჩემპიონთა ლიგაც დაკომპლექტდა

გუშინ, მონაკოში, შედგა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის კენჭისყრა.

**«A» ჯგუფი**

აიაქსი (ჰოლანდია)
პორტუ (პორტუგალია)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
კროაცია (ხორვატია)

**«B» ჯგუფი**

გალათასარაი (თურქეთი)
ატლეტიკი (ესპანეთი)
რუსენბორგი (ნორვეგია)
იუვენტუსი (იტალია)

**«C» ჯგუფი**

სპარტაკი (რუსეთი)
რეალი (ესპანეთი)
ინტერი (იტალია)
შტურმი (ავსტრია)

**«D» ჯგუფი**

ბარსელონა (ესპანეთი)
ბრონდბიუ (დანია)
ბაიერნი (გერმანია)
მანჩესტ.იუნაიტედი (ინგლისი)

**«E» ჯგუფი**

დინამო (უკრაინა)
ლანცი (ავსტრია)
არსენალი (ინგლისი)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი)

**«F» ჯგუფი**

ბენფიკა (პორტუგალია)
პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
ჰიკ (ფინეთი)
კაიზერსლაუტერნი (გერმანია)

*ლიგის პირველი ტურის მატჩები 16 სექტემბერს გაიმართება.*

*უეფას თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშების კენჭისყრა — 28 აგვისტოს.*

### „დინამო"–„მრეტების" გამო?

*როგორც გუშინ შევიტყვეთ, ამჟამად შვეიცარიაში, უეფას შტაბ-ბინაში იმყოფება სფფ-ს გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე. ვინაიდან ამჯერად იქ არანაირი ოფიციალური ღონისძიება არ ტარდება, ვვარაუდობთ, რომ დ. კვინიკაძე უეფაში „დინამო" – „მრეტების" გაჭიანურებულ კომპლექტის განხილვაში მონაწილეობისთვისაა მიწვეული.*

*„გუმათი"*

### ნებისმიერი სპეციალობა სპორტის სფეროში გარანტირებული სამუშაოა

დიახ, სკოლამდელი აღზრდისა და სასწავლო დაწესებულებების ფიზაღზრდის მასწავლებლებზე, მწვრთნელებზე და მეთოდისტებზე, მასაჟისტებზე და სამკურნალო ფიზკულტურის სპეციალისტებზე დღესაც დიდი მოთხოვნაა. თუ თქვენ გსურთ დაეუფლოთ ახალ სპეციალობას ან აიმაღლოთ კვალიფიკაცია, მიაკითხეთ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტს, სადაც სწავლა ფასიანია. სწავლების შესანიშნავი პირობებით და ცოდნის დაჩქარებული შეძენით, უთუოდ კმაყოფილი დარჩებით. სერტიფიკატი საერთაშორისოა. მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 49. ტელ. 29-23-06, ან 29-39-62 დღის მეორე ნახევარში.

## თასების თასი / ჩემპიონთა ლიგა

## საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი მატჩი

**დინამო (ბათუმი) — პარტიზანი (ბელგრადი) 1-0**

*დინამო:* ტოგონიძე, პაპიძე, მახარაძე, სიჭინავა, ღლონტი, ვერემჩუკი, ყულეჯიშვილი, კანტიძე (მაქაცარია, 46), გადელია (აფხაზავა, 85), ტუღუში, მაჭუტაძე.
*პარტიზანი:* დამიანკი, რაშოვიჩი, დულაი, საბო (სტოიანოვსკი, 25), ტრობოკი, რინკოვიჩი, ივიჩი, ილიჩი, სტოისავლიევიჩი, ობრადოვიჩი, ბერეკოვიჩი (გერშოვიჩი, 70).
*გოლი:* სიჭინავა (30).
*გააფრთხილეს:* რინკოვიჩი, სიჭინავა, დულაი, პაპიძე, გადელია.
*მსაჯი:* პ. როდომონდო (იტალია).

მოლოდინი გამართლდა – „პარტიზანი" არ აღმოჩნდა ისეთი ძლევამოსილი, ჯოჯოხეთური სიძლიერის გუნდი, როგორადაც პირველ შეხვედრაში მოგვაჩვენა თავი. დიახ, მართლაც რომ მოგვაჩვენა და ამის იმედად ვიყავით კიდეც გუშინ. ბათუმელებმა ამჯერად აღარ მისცეს მეტოქეს იმის საშუალება, რომ ფლანგებზე სწრაფი თამაში აეწყოთ, ცენტრში კი თავად ცდილობდნენ უპირატესობის მოპოვებას – კანტიძემ ერთი-ორჯერ გაიბრწყინა, მაგრამ დინამიური თამაში მოედნის შუაგულში არ ხერხდებოდა. თავდასხმაში პაატა მაჭუტაძე აქტიურობდა, ტუღუშისგან კი გაცილებით მეტს ველოდით. პირველი სახიფათო მომენტი მაჭუტაძის ფლანგურ გარღვევას მოჰყვა – მცველის მოტყუების შემდეგ პაატამ ცენტრისკენ ღლონტს დაუგორა ბურთი, რომელმაც დაახლოებით 20 მეტრიდან ოდნავ ააცილა დამიანკის კარს. შემდეგ უკვე გადელია გაიყვანა კარგ პოზიციაზე მაჭუტაძემ, მაგრამ გადელიამ მეტად პრიმიტიულად ითამაშა – „პარტიზანის" კართან მახვილი კუთხით, თუმცა ასე 6-7 მეტრით მყოფმა ვერც კარგი გადაცემა გააკეთა კარის გასწვრივ და კარში დარტყმაც არ გამოუვიდა. სტუმრებმა ობრადოვიჩისა და სტოისავლიევიჩის სახიფათო დარტყმებით დაგვამახსოვრეს თავი. შემდეგ ობოლოვიჩს გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობაც მიეცა – კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი ტოგონიძეს ხელიდან გაუვარდა და იუგოსლაველმა ფორვარდმა სამიზნედ ბათუმელი მეკარის ძელი „აირჩია". სტუმართა ეს მწვავე იერიშები დინამოელთა გოლმა გამოიწვია – როცა ჩვენებმა გვიჩვენეს, რომ დინამიური ფლანგური შეტევები მათაც ხელეწიფებათ, რაც სიჭინავას უძლიერესი ზუსტი დარტყმით დაგვირგვინდა დაახლოებით მეტოქის საჯარიმოს ხაზიდან.

სამწუხაროდ, პირველი ტაიმის მწვავე და გაამზრებული თამაში მეორე 45 წუთში გაუფერულდა – აჭარის მცხუნვარე მზით გათანგულ ფეხბურთელებს კიდევ უფრო მეტი აგრესიულობის ნაცვლად, დაღლა დაეტყოთ, მონდომებას კი ჩვენს ბიჭებს ნაღდად ვერ დაუკარგავს კაცი, თუმცა, ყველაფრის თავი და თავი მაინც ჩვენი ეროვნული ჩემპიონატია, სადაც ფონს გაცილებით უფრო იოლად გახვალ. დაღლა, რა თქმა უნდა, სტუმრებსაც დაეტყოთ, მაგრამ მათ, უბრალოდ, ჩვენზე კარგად იციან, თუ როგორ და როდის უნდა ჩართონ სისწრაფეები თამაშში. ამის წყალობით „პარტიზანს" ანგარიშის გათანაბრება, რასაკვირველია, შეეძლო, თუმცა ნიკა ტოგონიძე ხომ ეროვნული გუნდის მეკარეა და ჯერ ივიჩს, შემდეგ კი ილიჩს პირში ჩალა გამოავლო თანაგუნდელ მცველთა დაუხმარებლად. ბოლო წუთებზე ბათუმელებმა უკანასკნელი ენერგორესურსები გაილეს – მაჭუტაძე პირისპირ დარჩა დამიანკთან, მაგრამ ბოლო მომენტში ძალა არ ეყოთ და „პარტიზანის" გოლკიპერს ვერაფერი მოუხერხა. შემდეგ ტუღუშის წაქცევისთვის ჯარიმა დაინიშნა, ბურთთან გუნდის კაპიტანი მახარაძე მივიდა და ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო – კარში დარტყმის ნაცვლად საჯარიმოში მყოფ მაჭუტაძეს ისე მოხერხებულად გაუჭრა ზუსტი პასი, რომ წამით სუნთქვა შეგვეკრა – პაატას მხოლოდ დამიანკილა უშლიდა ხელს, მაგრამ... ნუ გვიწყენენ ბათუმელები და ორი მატჩის საბოლოო შედეგი ლოგიკურად მიგვაჩნია.

დათო თავართქილაძე



## ატლეტიკი (ბილბაო) — დინამო (თბილისი) 1-0




*როგორც ამბობენ ხოლმე, ძალა აღმართს ხნავსო. მიდი და 20-22 წლის გამოუცდელი ბიჭებით „ეჭიდავე" მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს ლიგაში – ესპანეთის ჩემპიონატში გამობრძმედილ, ჩამოყალიბებული ოსტატებით დაკომპლექტებულ „ატლეტიკს". და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა „დინამომ" საბოლოოდ საწადელს ვერ მიაღწია, მის გასაქილიკებლად ენა ვერ მოგიბრუნდება. სამწუხაროდ, დღევანდელ ფეხბურთში წარმატების მისაღწევად მხოლოდ კარგი გუნდის ყოლა არ კმარა, არის კიდევ ისეთი რამ, რომლის გარეშეც ფონს ვერ გახვალ. მიგვიხვდით, ალბათ, საუბარია ფულზე, დიდძალ თანხებზე, რომლითაც შეიძენ ძლიერ მოთამაშეებს, საუკეთესოდ წარმართავ სასწავლო-საწვრთნელ პროცესს და ა.შ. დღეს კი, რაოდენ კარგადაც უნდა ითამაშო, ღარიბი და გაუბედურებული, არავის უნდიხარ, მათ შორის, ცხადია, ჩემპიონთა ლიგის ორგანიზატორებსაც. ამიტომ იყო, ალბათ, რომ უნგრელ მსაჯს ვაგნერს აშკარად ეტყობოდა სიმპათიები მასპინძელთა გუნდის მიმართ. ამაზე ილაპარაკა მატჩის შემდგომ გამართულ პრეს-კონფერენციაზე მურთაზ ხურცილავამაც: „უნგრელი არბიტრი აშკარად მიკერძოებით, მასპინძელთა სასარგებლოდ გაისარჯა, იგი „ატლეტიკის" მეთორმეტე ფეხბურთელი იყო..." თუმცა, ყველაფერზე თანმიმდევრობით.*

**ატლეტიკი (ბილბაო) — დინამო (თბილისი) 1-0**

*ატლეტიკი:* ი. ეჩებერია, ალკორტა, იმასი, ლარასაბალი, ლაკრუზი, კარლოს გარსია, გერერო, ალკისა (ხოსე მარი, 84), ესკერო, ურსაისი (ხორხე პერესი, 88), ხ. ეჩებერია (ხავი გონსალესი, 84).
*დინამო:* გვარამაძე, ჯელაძე, დიდავა, მახარაძე, კობიაშვილი, გუჩუა, ცქიტიშვილი, კიკნაძე, მუჯირი, აშვეთია (ლ. მელქაძე, 56), ხომერიკი.
*გოლი* ხ. ეჩებერია (55).
*გააფრთხილეს:* მუჯირი, ალკისა, გუჩუა, კობიაშვილი.
*გააძევეს:* მუჯირი (54).
*მსაჯი:* ლ. ვაგნერი (უნგრეთი).

მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, ბასკების უპირატესობით მიმდინარეობდა. განსაკუთრებით ეს იგრძნობოდა შეხვედრის დებიუტში, მერე კი თბილისელებმა თანდათან გააწო-

იხ. მე-4 გვ.

*სურათებზე:*
*ზევით – „ატლეტიკის" და „დინამოს" განმეორებითი მატჩის პროგრამა; მარცხნივ – ბათუმელთა მეკარემ ნიკა ტოგონიძემ თავისი კარი „მშრალად" შეინახა, მაგრამ...*

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოსკოვში, 70 წლისა გარდაიცვალა წარსულში ცნობილი მძლეოსანი, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი და ევროპის ჩემპიონი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი

ლევან გიორგის ძე სანაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს 1952 წლის ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, სპორტის დამსახურებული ოსტატის

ლევან გიორგის ძე სანაძის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

«შევარდენი-80»

# არწივები ქობულეთიდან



როგორც „ლელოს“ წინა ნომერში გაუწყეთ, ამ დღეებში პირველ ქართულ ეროვნულ სპორტსაზოგადოება „შევარდენს“ დაარსებიდან 80 წელი შეუსრულდა. გაუწყეთ ისიც, რომ საიუბილეო თარილი საზეიმოდ აღინიშნება ოქტომბრის პირველ დეკადაში.

„შევარდენი“ სრულიად საქართველოს პატრიოტული სპორტული საზოგადოება იყო და მისი „უჯრედები“ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იქმნებოდა. სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი სრულიად საქართველოში სპორტის მასობრიობას (განსაკუთრებით ე.წ. შევარდნული გაფრენებით და ხალხმრავალი სხვა სპორტულ-სანახაობრივი ღონისძიებებით), მათ გადადგეს პირველი ნაბიჯები ჩვენში სპორტის საერთაშორისო, ანუ როგორც მაშინ და შემდეგაც უწოდებდნენ, „კლასიკური სახეობების“ დასანერგად.

„შევარდენის“ პირველი ნაბიჯების ამსახველი დოკუმენტები, რომლებიც, ვფიქრობთ, მრავლადაა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, შეგროვებას და შესწავლას მოითხოვს — ქართული სპორტის მატიანემ ყველაფერი უნდა აღნუსხოს.

„ლელოს“ რედაქციამ უკვე დაიწყო ასეთი მასალების თავმოყრა, რასაც დიდი სიამოვნებით გავაცნობთ დროდადრო ჩვენს მკითხველებს.

გუშინ, რედაქციას ეწვია ქართული სპორტის ისტორიის დაუღალავი მკვლევარი და პროპაგანდისტი, ცნობილი მეცნიერი და პიროვნება, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბატონი ავთანდილ ციბაძე და წარმოგვიდგინა ფოტოსურათი, რომელიც ქობულეთში ერთ-ერთ ოჯახში აღმოუჩენია მის სტუდენტს.

სურათზე აღბეჭდილნი არიან ქობულეთელი შევარდნელი ტანმოვარჯიშეები (მარცხნიდან): ლადო ჯიშკარიანი, შოთა ძაგნიძე, ლეო ჭეიშვილი, ატო აღნიაშვილი და ვალიკო (გვარი უცნობია). სურათი 1922 წელსაა გადაღებული.

ვთხოვთ ყველას, თუ რაიმე იციან სურათზე აღბეჭდილ პიროვნებებზე, დაგვიკავშირდნენ რედაქციაში.

ველით ახალ მასალებსაც.

# საქართველოს სპორტში სუმოს დაბადების დღეც გაჩნდა

ეს თარიღი 1998 წლის 17 აგვისტოთი შევა ჩვენი სპორტის ისტორიაში. სწორედ ამ დღეს გატარდა სასამართლოს მეშვეობის რეგისტრაციაში საქართველოს სუმოს ფედერაცია.

„ლელომ“ არაერთი შემეცნებითი ხასიათის პუბლიკაცია მიუძღვნა ჩვენთვის სპორტის ამ ახლა სახეობას და თუმცა გადაწყვეტილიც გვქონდა პირველი ნაბიჯებიდან თაოსანთა გვერდით ვმდგარიყავით და ამის შესახებ თავად დამფუძნებლებმაც კარგად უწყოდნენ, ყრილობაზე ჟურნალისტები, მათ შორის ჩვენი გაზეთიდან, არ მიუწვევიათ. სამწუხაროა!

დამფუძნებელმა ყრილობამ ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩია ვეტერანი მორაგბე, ამჟამად სახაზინო საწარმო „საექსპორტმშენექსპლუატაციის“ ხელმძღვანელი, ქართული სპორტის საკეთიოლდღეოდ მართლაც გულანთებული კაცი – თენგიზ რუხაძე. ვიცე-პრეზიდენტად – სუმოში კარგად გათვითცნობიერებული ანზორ მარტყოფლიშვილი, მენეჯერ-განმკარგულებლად – მერაბ ლოსეურაშვილი.

„ლელო“ – „გუმათე“

# ხათუნა ქვრივიშვილი ხათუნა ლორინგი გახდა და ამერიკის მოქალაქეა

საფრანგეთში ევროპის მშვილდოსანთა ჩემპიონატზე, ვერც საქართველოს წარმომადგენლებმა ხათუნა ფუტკარაძემ და სერგო ბერიძემ, ვერც ჩვენმა ყოფილმა თანამემამულემ ნატო ნასარიძემ ვერ გადალახა საკვალიფიკაციო ზღვარი და 32-ე ფინალიდან გამოეთიშნენ ასპარეზობას. ნატო ნასარიძემ სულ 1340 ქულა მოაგროვა (შესაბამისად 70 მ – 329, 60 – 335, 50 – 329, 30 – 347) და თავიდან ლიდერობდა კიდეც, მაგრამ გადამწყვეტი პაექრობა ნატომ, რომელიც მსოფლიო რეიტინგით პირველი ნომერია, შვედ ერიქსონ პეტრასთან წააგო 139:146. ხათუნა ფუტკარაძე 1230 ქულით 47-ე ადგილზე დარჩა 57 მონაწილიდან. მეორე ბათუმელმა მშვილდოსანმა სერგო ბერიძემ კი 1241 ქულით და 62 ადგილით შეწყვიტა ასპარეზობა (აქ სულ 81 სპორტსმენი გამოდიოდა). აღსანიშნავია, რომ ბათუმელი სპორტსმენები თვით ამ ავტონომიურმა რესპუბლიკამ დააფინანსა.

მოვიდა ახალი რეიტინგი, სადაც მეორე ან უკვე ჩვენი ყოფილი მშვილდოსანი, ხათუნა ქვრივიშვილი იმავე რეიტინგში 31,44 ქულით 49-ეა, ოღონდ მის გასწვრივ წერია ხათუნა ლორინგ (აშშ). დიახ, როგორც ადრე გაუწყეთ, იგი აშში გათხოვდა და გვარიც შეიცვალა, ცხადია, ამ ქვეყნის მოქალაქეც გახდა. რეიტინგში კი კვლავ ნატო ნასარიძე ლიდერობს – 169,6 ქულა.

# ? შეკითხვა „ლელოს“

**შეკითხვა:** მოკრივეები ხშირად ვბჭობთ იმაზე, თუ რამდენად სამართლიანია საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის ფულის გადახდა. გთხოვთ გვიპასუხოთ, საიდან მოდის ასეთი წესი, იქნებ ჩვენ გვაქვს არასწორი ინფორმაცია?

*მურმან მურმანიძე (გვარი გამოგონილია), მოკრივე*

**პასუხი:** დიახ, ასეთი წესი ნამდვილადაა, მაგრამ ბოლო დროს იგი ერთგვარად შეიცვალა სპორტსმენთა სასარგებლოდ. მაგალითად, ახალგაზრდებში საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის გადასახდელია დღეში 50 აშშ დოლარი თითოეულ მონაწილეზე. დიდებში – 100 დოლარი. საერთაშორისო ფედერაციამ ახლა ეს წესი შეცვალა ნაწილობრივ – გუნდის 5 წევრის გადასახადს შეჯიბრების ორგანიზატორები გადაიხდიან, ხოლო თუ გუნდში 5 მოკრივეზე მეტია, დანარჩენების თანხას (იგივე რაოდენობას) იხდის მიმავლინებელი ეროვნული ფედერაცია.

## ა. ციბაძე — ძმობის 26 საუკუნე

# მონატრება



ჩემო გაბრიელ, გულწრფელად დაგიფიცებ, ხშირად გიგონებ. გიგონებ ხოლმე ჩემს კაფანდარა სტუდენტს, პატარა შავტუხა ბიჭს გაბო ხანუქაშვილს, რომელსაც ჩემი მხრიდან არასოდეს უგრძვნია ურთიერთობის ზღაპარი პედაგოგსა და სტუდენტს შორის; ჩვენ ხომ ნამდვილი მეგობრები ვიყავით; მთელი ხუთი წლის მანძილზე ეს მეგობრობა ალამაზებდა ჩვენს ურთიერთობას.

ხომ გახსოვს: შეჯიბრებიდან დაბრუნდებოდი თუ არა, პირველად ჩემთვის უნდა გეხარებინა გამარჯვება; მერე კარგა ხანს „გატყვევებდი“ სამუშაო ოთახში და განთავისუფლებდი მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაწვრილებით მომიყვებოდი-ხოლმე ჩატარებული პაექრობის ამბებს.

მერე კი ხათრს ვეღარ მიტეხდი, მომყვებოდი ახალგაზრდებით სავსე აუდიტორიაში, სადაც ჩემი ლექცია იყო დანიშნული და შენი იქ ყოფნით ერთიორად მაღლდებოდა ახალგაზრდებთან მამაშვილური საუბრის ეფექტი.

ერთხელ, თუ გახსოვს, მოსწავლეთა აუდიტორიაში „საიდუმლოდ“ შემოგიყვანე, ბავშვების გვერდით ჩამოჯექი, მე კი ჩვენი სპორტსმენების ცხოვრების საინტერესო ეპიზოდების მოყოლას შევუდექი. იმ დღეს, ცხადია, აქცენტი შენს საკრივო ბატალიებზე გადავიტანე. საბედნიეროდ, ბავშვები ამყვნენ, რალაცნაირად გაითავისეს შენი სპორტული თავგადასავალი და როდესაც ლექციის აპოთეოზად ერთი შენი ლამაზი მატჩი გავიხსენე, ზოგიერთი მსმენელის თვალებში ცრემლიც გამობრწყინდა. აი, მაშინ შევარჩიე მომენტი და ბავშვებს მივმართე:

— ჩემო პატარებო, ამ მატჩის გმირი გაბრიელ ხანუქაშვილი, რომელიც ასეთი თავგანწირვით იბრძოდა ჩვენი ლამაზი სამშობლოს ღირსების დასაცავად, აქ, თქვენს შორის იმყოფება.

მაშინ კი, შენც თავად ნახე რაც მოხდა. ლექცია ზეიმად გადაიქცა და დიდხანს არ გამოგვიშვეს ნორჩებმა. ვინ იცის, იმ მომენტში რამდენი ბავშვის გულში ჩაეწვეთა მათი მორალური შეხედულებების გამაჯანსაღებელი ელექსირი.

ასე მეგობრულად ვეწეოდით ერთობლივ ჭაპანს, მე, — როგორც ამბის მთხრობელი, შენ კი — ამბების შემოქმედი.

ჩემო გაბრიელ, გავიდა დრო, რომელმაც ერთმანეთს დაგვაშორა. შენ დატოვე საქართველო; ამან, ცხადია, დიდი ტკივილი მომაყენა, მაგრამ ამასთან ერთად, სულს სიხარულის სხივიც მინათებდა იმის გამო, რომ სხვა ჩემი ებრაელი მეგობრების მსგავსად, შენც მადლიერების გრძნობით დაგვტოვე.

შენ წახვედი, მაგრამ მინდა იცოდე, რომ შენი სპორტული ცხოვრების ლამაზი პერიპეტიები ისევ (ახლა უკვე უშენოდ) ხშირად იკავებს ადგილს ჩემს ლექცია-საუბარში.

ამას წინათ, ერთ სოლიდურ დაწესებულებაში მიმიწვიეს. ლექციის ბოლო ნაწილში სპორტსმენთა პიროვნული თვისებების აღზრდის პრობლემა მიმოვიხილე და როგორც ნიმუში, გავიხსენე შენი სპორტული ცხოვრების ერთი ყველაზე დრამატული მატჩი, რომელიც პირველ რიგში შენი სულიერი სამყაროს უმკაცრეს გამოცდასაც წარმოადგენდა.

აი, რა მოვუყევი მათ (ძალიანაც რომ მოვინდომო, ამ ამბის თხრობისას ვერაფერს შევცვლი თუნდაც იმიტომ, რომ იგი შენ მომიყევი ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში).

ეს მოხდა ამ ორმოცდახუთი წლის წინათ.

უნგრეთის დედაქალაქი სტუდენტთა პირველი მსოფლიო თამაშების მონაწილეებს მასპინძლობდა. დიდი დავიდარაბის შემდეგ საბჭოთა სპორტული მოძრაობის ხელმძღვანელებმა როგორც იქნა ჩვენი სახელოვანი მოკრივე გაბრიელ ხანუქაშვილი ჩართეს დელეგაციაში. როგორც იქნა-მეთქი, — ვამბობ იმიტომ, რომ მაშინ გაბრიელი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი იყო, მაგრამ ნაკრებში შეყვანაზე თავს იკავებდნენ (მაშინ ხომ ასეთი ხელოვნური ბარიერები ხშირად აღიმართებოდა ხოლმე საქართველოს წარმომადგენლების წინაშე), „თუ წინასწარ ტურნირსაც მოიგებ, მხოლოდ მაშინ გაემგზავრები ბუდაპეშტსო“, — განუმარტეს.

მან დაუმარცხებლად განვლო ეს ტურნირიც და ჩართეს გუნდში, სხვა რა ძალა ჰქონდათ.

მე ცოტათი გავუსწრებ ამბის მსვლელობას და გაგახსენებთ მის სიტყვებს ბუდაპეშტიდან დაბრუნების შემდეგ რომ მითხრა: არც ერთ შეჯიბრებაზე არ მქონია გამარჯვების ისეთი სურვილი, როგორც ამ თამაშებზე. მე ხომ პირველად მიხდებოდა უცხოეთში საქართველოს ღირსების დაცვა, ჩემი უფროსი კოლეგებისა და მასწავლებლების, ლევან ლუდუშაურის, გიორგი ვართანოვის, ანდრო ნავასარდოვის, შალვა გორგასლიძისა და სხვათა მიერ საფუძველჩაყრილი ტრადიციის დაცვა!

გაბრიელმა მოიგო სამი შეხვედრა, ნახევარფინალში კი მის პირისპირ, რინგის მეორე კუთხეში პოლონელი მოკრივე მარგარეტი დადგა. სამივე რაუნდი გაბრიელის უპირატესობით წარიმართა. მაგრამ მატჩის დასასრულს მან მიიღო ერთი საბედისწერო დარტყმა მკერდის მარცხენა არეში. ახმაურებულ დარბაზში გაბრიელის მეტმა ვერავინ გაიგონა ნეკნის ჭახანი. სახე ტკივილისაგან მოეღრიცა, მაგრამ ამ დროს გონგის ხმაც გაისმა და მსაჯებმა ერთხმად მიანიჭეს გამარჯვება.

და მან, ვიდრე რეფერი მის ზეამართულ მარჯვენას დაბლა დაუშვებდა, ელვის სისწრაფით გაიაზრა: ნეკნის გატეხვის ამბავი თუ არ დავფარე, ექიმი ფინალურ ბრძოლაზე არ დამიშვებს. გაბრიელ, — შეუძახა საკუთარ თავს, — გაუძელ, გაბრიელ, როგორმე მიდი გასახდელამდე, მერე სასტუმროში მჭიდროდ დაიბინტე მკერდი, ხვალ კი ეცადე არ მიიღო დარტყმა მკერდის მარცხენა მხარეს!

მთელი ღამე ტკივილების დაძლევასა და ფინალური მატჩის სწორად წარმართვის ხერხების ძიებაში გაათენა.



ბუდაპეშტი. 1951 წელი. გ. ხანუქაშვილმა ძლიერი დარტყმით ნოკაუტი გაუკეთა ჰენრი ტომსონს

მან მართლაც საოცარი რამ მოიმოქმედა, საქმის კურსში არ ჩააყენა დელეგაციის ხელმძღვანელობა, თანაგუნდელი მეგობრებიც კი. ერთი პირობა, როგორც მან მითხრა, შიშმაც გაჰკრა გულში: ხომ შეიძლება იმავე ადგილზე მეორე დარტყმის მიღების შემთხვევაში ნეკნის გატეხილი ბასრი ნაწილი დანასავით ჩაესოს გულს?! მაგრამ გამარჯვების სურვილმა, უფრო ზუსტად კი — იმ გრძნობამ, რომელსაც დაკისრებული ვალის კაცურად მოხდის სურვილი აღუღაბებს, სძლია ამ შიშს.

პირველი განსაცდელი სასტუმროდან დარბაზამდე მიმავალ ავტობუსში გადაიტანა, როდესაც ტკივილი უნდა დაეძლია და იმავ დროს ირგვლივ მყოფთათვის ისე მოეჩვენებინა თავი, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო.

და ასეთ მდგომარეობაში დადგა რინგზე 1948 წლის ლონდონის XIV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, უნგრელი ტიბორ ჩიკის პირისპირ. ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. პირველი რაუნდი გაბრიელმა მოიგო, მერე კი... მერე ტკივილმა თავისი გაიტანა, გაჭირდა ბრძოლა და იმატა გატეხილ ნეკნზე დარტყმის საფრთხემ. ამის გამო იძულებული იყო მისთვის უხერხული მარჯვენა დგომი მიეღო. და როცა მესამე რაუნდიც მიიწურა, იგი უკვე ბუნდოვნადღა არჩევდა — როგორ მიანიჭეს მეტოქეს გამარჯვება მცირე უპირატესობით, ძლივს გადმოალაჯა რინგს, ძალაგამოლეული ჩაეხვია სეკუნდანტს და ვიდრე გრძნობას დაკარგავდა, ხრიალითღა წამოიძახა: ჩქარა — საავადმყოფოში!

მერე, როცა საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა, გაოცებულ ექიმს უთქვამს, რატომ დამალე ამ საშიში ტრავმის მიღება, რამ გაგაბედინა გასვლა რინგზე, სადაც მეტოქესთან ერთად თავისი ალესილი ცელით სიკვდილიც გითვალთვალებდაო?!

რამ გააბედინა! მოდით, მეგობრებო, ნუ გავიმეორებთ იმ პერიოდისათვის გაცვეთილ ფრაზებს და ყოველივე ამას ნუ დავაკავშირებთ პარტიასთან, მთავრობასთან და ასე შემდეგ. მახსოვს, მეც დავუსვი გაბრიელს იგივე კითხვა, როგორ დამავიწყდება მისი მართალი პასუხი „სხვაგვარად არ შემეძლო!“ მე არა ფერი მითქვამს მაშინ, და აი ახლა, თქვენი თანდასწრებით, პატივცემულო მსმენელებო, მე „გავშლი“ ამ ლაკონურ პასუხს: ჩვენმა სახელოვანმა მოკრივემ ამ 26 საუკუნის წინათ საქართველოში მოსული მოძმე ერის ღირსეულმა შთამომავალმა, ერთმა პატარა ებრაელმა ჭაბუკმა, ვალი მოუხადა მის მეორე სამშობლოს!“

აი, შენი სპორტული ცხოვრების ეს მომენტი გავიხსენე მაშინ, ჩემო გაბრიელ, „სწორია, სწორი“ — მოისმა აუდიტორიის სხვადასხვა მხრიდან და ლექციის დასასრული ლამის ქართველი და ებრაელი ხალხის მეგობრობის მიტინგს დაემსგავსა.

ჩემო კეთილო მეგობარო, დღეს, გასაგები მიზეზების გამო, მხოლოდ შენზე მიხდება საუბარი, მაგრამ მე ამით სრულიადაც არ ვამცირებ საქართველოში მცხოვრები სხვა ებრაელი სპორტსმენების წვლილს ქართული სპორტის განვითარებაში. მათი სპორტული ბიოგრაფიები წიგნადაც კი გამოიცა თბილისში.

მე კიდევ ერთხელ გიხდი მადლობას იმისათვის, რომ შენი და შენი ქართველი კოლეგების ასეთი თავგანწირვის მაგალითები (იცი, ანალოგიური, თუმცა, შედარებით ნაკლებ სახიფათო რამ მოიმოქმედეს ვლადიმერ რუბაშვილმა, გივი კარტოზიამ და სხვებმა) დღესაც გვეხმარება სპორტული ცხოვრებისა და ცალკეულ სპორტსმენთა მორალური კოდექსის განსაზღვრაში.

ო, როგორ გვჭირდება ახლა შენისთანა ალალი, თავდადებული კაცური კაცის გამამხნევებელი „შეძახილი!“

სადა ხარ, ჩემო გაბრიელ!

**გადმობეჭდილია ისრაელში გამომავალ ქართულენოვან ჟურნალ „დროშა“-დან.**

**ფოტოები „ლელოს“ არქივიდან**

# ვაზუსტებთ მაია ლომინეიშვილი მეორე იყო

როტერდამიდან ინტერნეტით მიღებული ცნობით, მოჭადრაკე სტუდენტთა მსოფლიო პირველობაში მინიშნებული იყო, რომ ჩვენმა მაია ლომინეიშვილმა II-IV ადგილები გაიყო. შეჯიბრებაში კი 12 ქვეყანა მონაწილეობდა.

როტერდამიდან შინ დაბრუნების შემდეგ რედაქციაში დაგვირეკა ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გივი მძელურმა, რომელსაც ხელთ აქვს ოფიციალური დოკუმენტები, სადაც მაია ლომინეიშვილი გამოცხადებულია პირველობის მეორე პრიზიორად, მესამე ადგილზე კი ჩინელი ვანგ პინა. ასე რომ, სამეული ასე გამოიყურება: 1. ნინო ხურციძე, 2. მაია ლომინეიშვილი, 3. ვანგ პინა. როტერდამში გამართულ ამ მსოფლიო პირველობაში კი 17 სხვადასხვა ქვეყნის მოჭადრაკე მონაწილეობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპლიკა

# იმაზე, რაც ხდება, ადრე თუ გვიან, პასუხი ყველას მოეთხოვება

***ახლა, როცა საქართველოს X საიუბილეო ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი მთლიანი შემადგენლობით (ორივე ჯგუფში ბრძოლაში ჩაება 70 გუნდი, მათგან რამდენი მიაღწევს ფინიშამდე, ღმერთმა უწყის) ჩაერთო საქმეში, ძალაუნებურად გვახსენდება საყოველთაო ალტაცების ნიშნით დაწყებული უწინდელი გათამაშებები.***



თუ პირველ ეროვნულში გუნდების რაოდენობა 120-ს აღწევდა, შემდგომ წლებში მათმა რიცხვმა აშკარად იკლო. მოდით, გავიხსენოთ, საქართველოს რომელი რაიონების კოლექტივები არ მონაწილეობდნენ მაშინ პირველობაში. ეს იყო, ყაზბეგის, ლენტეხის, მესტიის, შუახევისა და ხულოს გუნდები. სხვა დანარჩენებს, ტყვარჩელი იქნებოდა ეს, თუ ქედა, ბოგდანოვკა თუ ახალქალაქი, ახმეტა თუ წალკა, ყველას დიდ პატივად მიაჩნდა ქვეყნის ჩემპიონატში ასპარეზობა. მერე, თანდათან, ცხოვრება გაძნელდა, ფეხბურთისთვის ცოტა ვინმეს თუ ეცალა, მაგრამ შორსმჭვრეტელმა მუშაკებმა იცოდნენ, რომ სულ ასე არ იქნებოდა. რომ ნელ-ნელა სიტუაცია სტაბილური გახდებოდა. მერე კი, ცხადია, ყველას მოაგონდებოდა კინო, თეატრი, საგამოფენო დარბაზები, ფიზკულტურა და სპორტი და, რასაკვირველია, პირველ რიგში, ფეხბურთი. სამწუხაროდ, საწინააღმდეგო მოსაზრების მხოლოდ დღევანდელი დღით მოარსებე ხელმძღვანელი მუშაკიც ბევრი აღმოჩნდა. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, მაშინ, როცა ქვეყანაში სამოქალაქო ომისა და აღვირახსნილობის რეციდივებმა იკლო, ზოგიერთ რაიონში ნაცვლად იმისა, რომ საფეხბურთო კლუბები შეენარჩუნებინათ, პირიქით მოხდა. ასე შეწყვიტეს არსებობა გუნდებმა როგორც აღმოსავლეთ საქართველოში („კახეთი“, „არაგვი“, „ბახტრიონი“, „ერწუხი“, „ალაზანი“, „ჰერეთი“, „ნაფარეული“), ისე, ლიხს იქით („ჩიხურა“, „საირმე“, „ზანა“, „მამული“. „საპოვნელა“, „ჩელა“, „აისი“).

განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა 1994-1995 წლებში კახეთის რეგიონში. მარტო ამ პერიოდში აქ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე 16 (!) გუნდი ჩაბარდა წარსულს. ვერავინ დაგვაჯერებს, რომ კახეთის რეგიონის ხელმძღვანელებს ფეხბურთი არ უყვართ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — სპორტის ამ სახეობამ მათ ხელში ვერა და ვერ გაიხარა. თანაც ყველაფერი მხოლოდ ხელმძღვანელის სიყვარულზე და სიმპათია-ანტიპათიაზე ხომ არაა დამოკიდებული, ხალხსაც ხომ უნდა მივუგდოთ ყური.

მაგალითისთვის, თუნდაც, ნაფარეულში მომხდარ ამბავს გეტყვით. ამ 5-6 წლის წინათ, აგრო-ფირმა „ნაფარეულის“ გენერალური დირექტორის მერაბ ხიდეშელის უდიდესი ძალისხმევითა და ენერგიით ამ სოფელში დიდებული სპორტული კომპლექსი აღმოცენდა. ეს იყო ბრწყინვალე სტადიონი ორი საფეხბურთო მინდვრით, ელექტროგანათებით (!), საშხაპეებით, გასახდელებით, მსაჯთა ოთახებით, სარეაბილიტაციო კომპლექსით, მინი-სასტუმროთი. შემდეგ, როცა ფეხბურთის მოტრფიალე აგრო-ფირმის დირექტორი თანამდებობას ჩამოაცილეს, ყველაფერი გაპარტახდა, დაინგრა, განიავდა, გული მოგიკვდება, დღეს რომ ნაფარეულის სპორტკომპლექსის ნარჩენებს უყურებ — ვინ აგებს ამაზე პასუხს? ჩვენ არ გვაინტერესებს, რამდენად კანონიერი იყო სამხარეო ადმინისტრაციის მოქმედება, როცა მერაბ ხიდეშელს თანამდებობიდან ხსნიდა. ფაქტია, რომ მის ხელში სოფელში ცხოვრება ჩქეფდა, ხალხს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას, სამუშაო ჰქონდა, ხოლო თავისუფალ დროს „ბირჟაზე“ უაზრო დგომით არ ატარებდა, სტადიონზე იკრიბებოდა და ომახიანად გულშემატკივრობდა თანასოფლელ ფეხბურთელებს. ანალოგიური ფაქტები მოხდა ახმეტაში, ლაგოდეხში, თელავში, სადაც ვოლუნტარისტული, ერთი-ორი ადამიანის ხელის მოსმით მოისპო „ბახტრიონი“, „ჰერეთი“, „კახეთი“, „ალაზანი“.

ახლა დასავლეთ საქართველოშიც გადავინაცვლოთ. გულშემატკივარმა იცის, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ, უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა თერჯოლის „საპოვნელა“. სანამ ამ კლუბს საიმედო პატრონი ჰყავდა — ადგილობრივი ავტოსაწარმოს დირექტორი ზაურ გაბრიჭიძე, საქმე წინ მიდიოდა, თერჯოლელებს გუნდიც კარგი ჰყავდათ, სტადიონიც შესაფერისად გამოიყურებოდა, ადგილობრივი მოსახლეობაც სიამოვნებით ესწრებოდა მატჩებს (როგორც თავად ამბობენ, ამ ძნელბედობის ჟამს ერთადერთი დასვენების კერა სტადიონი იყო). მას შემდეგ, რაც ზაური გაბრიჭიძე უდროოდ წავიდა ამქვეყნიდან, გუნდს პატრონი არ გამოუჩნდა, თუნდაც ადგილობრივი გამგეობა და იგი დაიშალა. დღეს ოდესღაც რუდუნებით ნაშენებ სტადიონზე კი ძროხებს აძოვებენ, მოსახლეობა კი თავისუფალ დროის გონივრულად გამოყენების საშუალება მოუსპო. ეს კი გარკვეულ-წილად ხელს უწყობს დანაშაულის ზრდას.

დასკვნა ერთია: კრიტიკულად შევაფასოთ არსებული ვითარება და გამოვნახოთ ის რეზერვები, რომლებიც ფეხბურთის მასობრიობას ხელს შეუწყობს. ამისათვის ყველამ უნდა გამოიღოს ხელი, უპირველესად კი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა, თორემ რა გამოდის, პრესა წერს, ხოლო ვისაც საქმის კეთება ხელეწიფება, მეთვალყურის როლშია. რაც ყველაზე სავალალოა, არამარტო შორიდან უცქერს, ხელსაც კი უწყობს სპორტული ბაზების მოშლას, საფეხბურთო კლუბების გაუქმებას. ყოველგვარ განუკითხაობაზე, ადრე თუ გვიან, პასუხი ყველას მოეთხოვება.

**ჯემალ ჭიპაშვილი,**
**„ლელოს“ ქართული ფეხბურთის განყოფილების რედაქტორი**



## საქართველოს თასის IX გათამაშება

**პირველი ეტაპი**
**1/64 ფინალი**
**საპასუხო მატჩები**

### აღმოსავლეთი

ლოკომოტივი-2 — ***ქინერი*** 2-2 (0-5)
ალაზანი — ***ჭაბუკიანი*** 0-2 (0-5)
***ყვარელი*** — კახეთი 1-0 (0-0).
***შავნაბადა*** — ხალიბი 0-0 (1-0)
***იბერია*** — დილა-2 5-2 (3-2)
***ივერია*** — თორი 3-0 (1-0)
***საუ*** — ცხუმი 4-1 (1-1)
***შსს აკადემია*** — (დ.დ.) დინამო-2 2-0 (0-1)
***დინამო-3*** — არსენალი-2 0-0 (3-2)
***მრეტები*** — უნივერსიტეტი იბერია 2-0 (1-3)
სკ იბერია — ***ალგეთი*** 0-3 (0-3)
ცხინვალი — ***მესხეთი*** (0-3) 5-0

### დასავლეთი

სქური — ***ენგური*** 2-2 (1-2)
***კოლხეთი-2*** — ეგრისი 8-0 (0-2)
***კოლეჯი*** — შუქურა 2-0 (1-3)
მეშახტე — ***სამგურალი-2*** 1-2 (2-3)
გაგრა — ***ტორპედო-2*** 2-1 (1-4)
***იბერია-2*** — სულორი 2-0 (3-4)
ოკეანე — ***ფაზისი*** 2-3 (0-3)
***სამეგრელო*** — სალხინო 3-0 (1-3)
ოდიში-2 — ***კოლხეთი*** 2-1 (0-2)
***მერცხალი*** — ბახმარო 3-0 (1-2)
მალაროელი — ***მარგვეთი*** 1-3 (0-2)
იმერეთი — ***რიონი*** 1-1 (0-8)

*შენიშვნა: სკ. „იბერიასა“ და „ცხინვალს“ გამოუცხადებლობის გამო ჩაეთვალათ წაგება (0-3) და ავტომატურად მოიხსნენ გათამაშებიდან. შემდეგ ეტაპზე შესაბამისად „ალგეთი“ და „მესხეთი“ გავიდნენ.*

*ფრჩხილებში მოყვანილია პირველი მატჩის შედეგი.*

*შავი დახრილი შრიფტით აღნიშნულია შემდეგ ეტაპზე გასული გუნდები.*

## «ლელოს» საფეხბურთო ანონსი ● სექტემბერი

### საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი

#### პირველი ჯგუფი

**V ტური**
*8 სექტემბერი, სამშაბათი*
მეტალურგი — ასკ
სიონი — მერანი-91
თსუ — დინამო (თბ)
კოლხეთი-1913 — სამგურალი
ოდიში — დილა
დინამო (ბთ) — გურია
იბერია — ლოკომოტივი
*9 სექტემბერი, ოთხშაბათი*
ვიტ-ჯორჯია — ტორპედო

**VI ტური**
*12 სექტემბერი, შაბათი*
დილა — დინამო (ბთ)
სამგურალი — ოდიში
დინამო (თბ) — კოლხეთი-1913
მეტალურგი — სიონი
*13 სექტემბერი, კვირა*
ტორპედო — იბერია
გურია — ვიტ-ჯორჯია
მერანი-91 — თსუ
*14 სექტემბერი, ორშაბათი*
ასკ — ლოკომოტივი

**VII ტური**
*19 სექტემბერი, შაბათი*
სიონი — ასკ
კოლხეთი-1913 — მერანი-91
ვიტ-ჯორჯია — დილა
იბერია — გურია
*20 სექტემბერი, კვირა*
ოდიში — დინამო (თბ)
ლოკომოტივი — ტორპედო
*21 სექტემბერი, ორშაბათი*
თსუ — მეტალურგი
დინამო (ბთ) — სამგურალი

**VIII ტური**
*25 სექტემბერი, პარასკევი*
დინამო (თბ) — დინამო (ბთ)
*26 სექტემბერი, შაბათი*
გურია — ლოკომოტივი
დილა — იბერია
სამგურალი — ვიტ-ჯორჯია
მერანი-91 — ოდიში
მეტალურგი — კოლხეთი-1913
სიონი — თსუ
*27 სექტემბერი, კვირა*
ასკ — ტორპედო

#### მეორე ჯგუფი

**დასავლეთ ზონის „ა“ ქვეჯგუფი**

**III ტური**
*7.IX, ორშაბათი*
მეშახტე — მალაროელი
იმერეთი — ჩიხურა
გაგრა — რიონი
ტორპედო-2 — სამგურალი-2
სულორი — ოკეანე
რაჭა — იბერია-2
*8.IX, სამშაბათი*
მარგვეთი — საირმე

**IV ტური**
*12.IX, შაბათი*
საირმე — იბერია-2
ოკეანე — რაჭა
რიონი — ტორპედო-2
ჩიხურა — გაგრა
მარგვეთი — მეშახტე
*13.IX, კვირა*
სამგურალი-2 — სულორი
მალაროელი — იმერეთი

**V ტური**
*22.IX, სამშაბათი*
მეშახტე — საირმე
იმერეთი — მარგვეთი
რაჭა — სამგურალი-2
სულორი — რიონი
*23.IX, ოთხშაბათი*
გაგრა — მალაროელი
ტორპედო-2 — ჩიხურა
იბერია-2 - ოკეანე

**VI ტური**
*30.IX, ოთხშაბათი*
საირმე — ოკეანე
სამგურალი — იბერია-2
რიონი — რაჭა
ჩიხურა — სულორი
მალაროელი — ტორპედო-2
მარგვეთი — გაგრა
მეშახტე — იმერეთი

**დასავლეთ ზონის „ბ“ ქვეჯგუფი**

**III ტური**
*7.IX, ორშაბათი*
ფაზისი — კოლხეთი
სქური — ბახმარო
ენგური — კოლეჯი
სამეგრელო — ოდიში-2
ეგრისი — სალხინო
შუქურა — კოლხეთი-2
მერცხალი ისვენებს

**IV ტური**
*12.IX, შაბათი*
კოლხეთი — სქური
*13.IX, შაბათი*
სალხინო — შუქურა
ოდიში-2 — ეგრისი
კოლეჯი — სამეგრელო
ბახმარო — ენგური
მერცხალი — ფაზისი
კოლხეთი-2 ისვენებს.

**V ტური**
*22.IX, სამშაბათი*
სქური — მერცხალი
სამეგრელო — ბახმარო
შუქურა — ოდიში-2
*23.IX, ოთხშაბათი*
ენგური — კოლხეთი
ეგრისი — კოლეჯი
კოლხეთი-2 — სალხინო
ფაზისი ისვენებს.

**VI ტური**
*30.IX, ოთხშაბათი*
ოდიში-2 — კოლხეთი-2
კოლეჯი — შუქურა
ბახმარო — ეგრისი
კოლხეთი — სამეგრელო
მერცხალი — ენგური
ფაზისი — სქური
სალხინო ისვენებს.

**ცენტრალური ზონა**

**III ტური**
*7.IX, ორშაბათი*
ლოკომოტივი-2 — ივერია
დილა-2 — ქინერი
ვარძია — თორი
*8.IX, სამშაბათი*
ს.კ. იბერია — მესხეთი
იბერია ქ. — ცხუმი
ცხინვალი — საუ
*9.IX, ოთხშაბათი*
დინამო-2 — განთიადი

**IV ტური**
*12.IX, შაბათი*
მესხეთი — განთიადი
ქინერი — ვარძია
ს.კ. იბერია — ლოკომოტივი
*13.IX, კვირა*
თორი — დინამო-2
საუ — დილა-2
ივერია — იბერია ქ.
*14.IX, ორშაბათი*
ცხუმი — ცხინვალი

**V ტური**
*21.IX, ორშაბათი*
ლოკომოტივი-2 — მესხეთი
დილა-2 — ცხუმი
ვარძია — საუ
დინამო-2 — ქინერი
*22.IX, სამშაბათი*
იბერია ქ. — ს.კ. იბერია
ცხინვალი — ივერია
განთიადი — თორი

**VI ტური**
*29.IX, სამშაბათი*
მესხეთი — თორი
საუ — დინამო-2
ცხუმი — ვარძია
*30.IX, ოთხშაბათი*
ქინერი — განთიადი
ივერია — დილა-2
ს.კ. იბერია — ცხინვალი
ლოკომოტივი-2 — იბერია ქ.

**აღმოსავლეთი ზონა**

**III ტური**
*7.IX, ორშაბათი*
არსენალი-2 — მრეტები
ყვარელი — შსს აკადემია
ხალიბი — ლარწყალი
იბერია — კახეთი
დინამო-3 — ჭაბუკიანი
*8.IX, სამშაბათი*
ალაზანი — ქანაგკო
ალგეთი — შავნაბადა

**IV ტური**
*12.IX, შაბათი*
მრეტები — ლარწყალი
ქანაგკო — ალგეთი
ჭაბუკიანი — ალაზანი
*13.IX, კვირა*
შსს აკადემია — იბერია
კახეთი — დინამო-3
შავნაბადა — ხალიბი
არსენალი-2 — ყვარელი

**V ტური**
*21.IX, ორშაბათი*
იბერია — არსენალი-2
ალაზანი — კახეთი
ხალიბი — ქანაგკო
ლარწყალი — შავნაბადა
*22.IX, სამშაბათი*
ყვარელი — მრეტები
დინამო-3 — შსს აკადემია
ალგეთი — ჭაბუკიანი

**VI ტური**
*30.IX, ოთხშაბათი*
მრეტები — შავნაბადა
ქანაგკო — ლარწყალი
ჭაბუკიანი — ხალიბი
კახეთი — ალგეთი
არსენალი-2 — დინამო-3
ყვარელი — იბერია



### 1998–2000 წლების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

**I ჯგუფი**
05.09.98 უელსი — იტალია
05.09.98 ბელარუსი — დანია
**II ჯგუფი**
05.09.98 საქართველო — ალბანეთი
06.09.98 სლოვენია — საბერძნეთი
06.09.98 ნორვეგია — ლატვია
**III ჯგუფი**
05.09.98 ფინეთი — მოლდოვა
05.09.98 თურქეთი — ჩრდ.ირლანდია
**IV ჯგუფი**
05.09.98 სომხეთი — ანდორა
05.09.98 უკრაინა — რუსეთი
05.09.98 ისლანდია — საფრანგეთი
**V ჯგუფი**
05.09.98 შვედეთი — ინგლისი
06.09.98 ბულგარეთი — პოლონეთი
**VI ჯგუფი**
05.09.98 ავსტრია — ისრაელი
05.09.98 კვიპროსი — ესპანეთი
**VII ჯგუფი**
02.09.98 რუმინეთი — ლიხტენშტეინი
05.09.98 სლოვაკეთი — აზერბაიჯანი
06.09.98 უნგრეთი — პორტუგალია
**VIII ჯგუფი**
05.09.98 ირლანდია — ხორვატია
06.09.98 მაკედონია — მალტა
**IX ჯგუფი**
05.09.98 ბოსნია — ესტონეთი
05.09.98 ლიტვა — შოტლანდია
06.09.98 ფარერები — ჩეხეთი



### ევროპის საკლუბო ტურნირები

**15 სექტემბერი**
უეფას თასის პირველი რაუნდის პირველი მატჩები
**16 სექტემბერი**
ჩემპიონთა ლიგის პირველი ტური
**17 სექტემბერი**
თასების მფლობელთა თასის პირველი რაუნდის პირველი მატჩები
**29 სექტემბერი**
უეფას თასის პირველი რაუნდის განმეორებითი მატჩები
**30 სექტემბერი**
ჩემპიონთა ლიგის მეორე ტური
**1 ოქტომბერი**
თასების მფლობელთა თასის პირველი რაუნდის განმეორებითი მატჩები

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

(პირველი გვერდიდან)

ნასწორეს თამაში და რამდენიმეჯერ მწვავედ შეუტიეს. ძალზე ხელსაყრელი მომენტი გაუცუდდა ნახევარმცველ კიკნაძეს — რომ არა მასპინძელთა მეკარის თავდადება, რომელმაც ბურთი გაჭირვებით მოიგერია კუთხურზე, „დინამო“ ანგარიშში დაწინაურდებოდა და ვინ იცის, ეგებ ჩემპიონთა ლიგის მიღმა არ დარჩენილიყო, მაგრამ...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსაჯს მასპინძელთა გუნდის აშკარა სიმპათიები ჰქონდა და, რომ იტყვიან, „შარზე“ იყო. ასეთ მომენტში, მთავარია, იმდენი ოსტატობა გამოიჩინო, არბიტრს საბაბი არ მისცე უკეთური საქციელი ჩიდინოს. სამწუხაროდ, ახალგაზრდა დინამოელებს გამოცდილება აკლიათ და ადვილად ებმებიან „ანკესზე“. პირველ ტაიმში დავით მუჯირმა გაფრთხილება მსაჯის სასტვენის შემდეგ ბურთის გადაგდებისათვის მიიღო. მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, როცა სათამაშო სიტუაციაში მუჯირმა კვლავ დაარღვია წესები და... წითელი ბარათიც დაიმსახურა. ესპანელებს სულ ორი წუთი დასჭირდათ რიცხობრივი უპირატესობის გამოყენებისათვის.

გოლი რომ შეაგდეს, ბილბაოელებს მდგომარეობა აღარ გაუმწვავებიათ და ცდილობდნენ რაც შეიძლება დიდხანს გაეკონტროლებინათ ბურთი. რაც შეეხება კაცნაკლულად დარჩენილ დინამოელებს, მათ გადამწყვეტი შეტევის განსახორციელებლად, უბრალოდ, ძალები აღარ ეყოთ — მოკლე სათადარიგო საკმის გამო მინდორზე ვერც ახალი ძალები შემოიყვანეს. საბოლოოდ მასპინძლებმა თამაში სასურველი ანგარიშით 1-0 დაასრულეს და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში ითამაშებენ. რაც შეეხება დინამოელებს, ისინი ბრძოლას უეფას თასის გათამაშებაში გააგრძელებენ, იმედია, არანაკლები შემართებითა და ჟინით.



თბილისელთა კარში გოლი ეჩებერიამ გაიტანა

## ვიერი „ატლეტიკოში“ რჩება

ამას წინათ საზღვარგარეთულ პრესაში გაჩნდა ცნობები, რომლის მიხედვით მადრიდის „ატლეტიკსა“ და „სკუადრა აძურას“ ფორვარდი კრისტიან ვიერი კლუბის გამოცვლას აპირებდა. ვარსკვლავს არ დაუმალავს, რომ ამის მიზეზი მადრიდული კლუბის მეპატრონესთან ხესუს ხილთან და მთავარ მწვრთნელ არიგო საკისთან მომხდარი კონფლიქტებია. გამომზიურდა თუ არა ვიერის გადაწყვეტილება, მაშინვე გაჩნდა კლუბები, რომლებმაც ფეხბურთელის ხელში ჩაგდება მოინადინეს, მაგრამ მათ „ჩალიჩს“ წერტილი დაუსვა თავად ვიერიმ: „კლუბის შეცვლას აღარ ვაპირებ. ხილთან და საკისთან გულახდილი საუბარი მქონდა და ჩვენ ერთმანეთს გავუგეთ. მათ დამიდასტურეს, რომ გუნდში კვლავ ვრჩები უმნიშვნელოვანეს ფიგურად და ჩემი იმედი აქვთ“.

## «ლელოს» კომენტარი

საბოლოო შედეგი, რომელმაც ბასკებთან განმეორებით თამაშში ჩემპიონთა ლიგაში მეტოქე გაიყვანა, ვერ ვიტყვით, რომ ალოგიკური იყო. თუმცა, ქართველებმა, მართლაც ყველაფერი გაიღეს შინ და სტუმრად სასურველი მიზნის მისაღწევად, მაინც არ შეიძლება იმის თქმა, რომ თავიდანვე განწირულები ვიყავით და ამ ზღურბლის გადალახვა ჩვენთვის შეუძლებელი იყო. ოღონდ ეგაა, ძირითადად საუკეთესო ფიზიკური მომზადება იყო საჭირო და თავგამოდებული თამაში წესებს არ უნდა გასცდენოდა, რისთვისაც დავისაჯეთ კიდეც. საერთოდ, კარგი ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება ხომ იმის გარანტიაცაა, რომ თავიდან აიცილო ყვითელი და წითელი ბარათების მრისხანება.

ისე, გულახდილად ვთქვათ, იმ ჩემპიონატმა, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია და მისმა ლიდერმა კიდევ კარგად იასპარეზა, თუ, ცხადია, გავითვალისწინებთ ეროვნული ჩემპიონატის დონეს აქ რომ ყველაფერი წესრიგში არ გვაქვს „ძველია, არ ახალია“. სამწუხაროდ, საშველი არ დაადგა ჩვენი ჩემპიონატის დონის ამაღლებას და დინებას, როგორც იტყვიან, ნაფოტივით მივყვებით. ცხრა ჩემპიონატიდან ცხრაჯერვე ქვეყნის ჩემპიონი, რომ ერთი და იგივე კლუბი გახდება, ცუდადაა ამ ქვეყნის ფეხბურთის საქმე. ეს ყველამ იცის, მაგრამ მხოლოდ იცის და... მეტი არაფერი. თუ იმისთვის გვინდა ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი და თასის გათამაშება, რომ ჩვენმა უძლიერესმა გუნდებმა ერთი გაიფაფხურონ და პირველივე მატჩებში დაუმტკიცონ მსოფლიო საფეხბურთო სამყაროს რა უსუსური ქვეყნის რჩეული კლუბები გვყავს, სხვა საქმეა. ხომ ვხედავთ, რომ ამის იქით ჩვენი შესაძლებლობები აღარ მიდის. ყველაზე ცუდი კი მაინც ისაა, როცა საქართველოს რჩეული საფეხბურთო კლუბები თავმოყვარეობის შელახვას ეგუებიან და ცდილობენ ამასვე შეაგუონ გულშემატკივრები: რა, ცაში ქუდები ვისროლოთ სიხარულით იმის გამო, რომ ევროტურნირებში გამოვდივართ? ამის უფლება ხომ ნებისმიერ დამოუკიდებელ ქვეყანას აქვს დღეს, მთავარია, მერე, მერე რა გამოგვდის.

არ გვინდა დინამოელთა ამ მარცხს შევეგუოთ და „ლელოს“ მკითხველებს თავს მოვახვიოთ ამ წაგების ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები. თუმცა ბიჭებს არც შემართება უნდა დავუწუნოთ, მათი ბრალი იქნებ სულაც არ არის იმაში, რაც გვჭირს. დროა უფრო გლობალურად ჩავუღრმავდეთ მიზეზებს და თითო-ოროლა მატჩით მიღებული ემოციები მოვთოკოთ.

## როცა ფეხბურთში პოლიტიკაც გასათვალისწინებელია - უეფამ მსაჯები შეცვალა

რამდენიმე დღეში, უფრო ზუსტად, 5 სექტემბერს, ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეორე ჯგუფში გაიმართება პირველი მატჩი — საქართველოს ნაკრები ალბანელებს მასპინძლობს. როგორც წესი და რიგია, უეფამ სფფ კარგა ხნით ადრე გააფრთხილა: მსაჯთა ბრიგადა იუგოსლავიიდან გეყოლებათ და უზრუნველყავით მათი მიღება და გამომგზავრებაო.

კეთილი და პატიოსანი, რომ არა ერთი გარემოება — იუგოსლავიის ერთ-ერთ კუთხეში, სახელდობრ, კოსოვოში, რომელიც ალბანელებითაა დასახლებული, საომარი მოქმედებები მიმდინარეობს. უეფაში, ეტყობა, იფიქრეს, თუ წააგეს, ალბანელები შარს მოგვდებენ, იუგოსლაველი მსაჯები რატომ დაგვინიშნეთო. ამიტომ, ამ დღეებში უწინდელი გადაწყვეტილება შეცვალეს და სერბთა მაგიერ შვეიცარიელ მსაჯებს გამოგვიგზავნიან.

## ინტერტოტოს თასის ფინალი

### (განმეორებითი მატჩები)

INTERTOTO CUP

***ვალენსია (ესპანეთი)*** - ზალცბურგი (ავსტრია) 2-1 (2-0)
1-0 ლუკარელი (17), 2-0 როში (36), 2-1 ჰუტერი (84).
ვოივოდინა (იუგოსლავია) - ***ვერდერი (გერმანია)*** 1-1 (0-1)
1-0 ბრატიჩი (23), 1-1 სპრინგსი (61).
რუხი (პოლონეთი) - ***ბოლონია (იტალია)*** 0-2 (0-1)
კოლივანოვი (61, პენ.), 0-2 სენიორი (90).

ამრიგად, „ინტერტოტო-98“-ის გათამაშებაში იმარჯვა სამმა გუნდმა - **„ვალენსიამ“, „ვერდერმა“ და „ბოლონიამ“**, რომლებმაც უფლება მოიპოვეს უეფას თასზე ითამაშონ.



## პანლური იურანს

სერგეი იურანი კიევის „დინამოში“ გუნდის ბოლო ევროპული ტრიუმფის შემდეგ აღმოჩნდა (1986 წელს), ხოლო, როცა საბჭოთა კავშირის დაშლა ახლოვდებოდა, მას უკვე ვარსკვლავად ნათლავდნენ, რომელსაც უკრაინული ფეხბურთისთვის დიდება უნდა მოეტანა. მაგრამ იურანმა ყველაფერი აწონდაწონა — რუსეთი ხომ საფეხბურთო იზოლაციაში არაფრის დიდებით არ მოხვდებოდა, უკრაინა კი, ვინ იცის, და სერგეიმაც რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. პორტუგალიური „ბენფიკა“ და „პორტუ“ მოსკოვის „სპარტაკი“, ინგლისის პირველი დივიზიონის „მილვოლი“, დიუსელდორფის „ფორტუნა“, ბოლოს კი „ბოხუმი“... მაგრამ იურანმა ვერსად ვერ მოიკიდა ფეხი, ისე როგორც ეს ნამდვილ ვარსკვლავს შეშვენის. რუსეთის ეროვნულ ნაკრებთან მიმართებაში კი წამდაუწუმ ჭირვეულობდა, განსაკუთრებით, პაველ სადირინისა და ბორის იგნატიევის მწვრთნელობის პერიოდში, რისი ერთადერთი მიზეზი ფული გახლდათ. ხოლო, როცა ნაკრების თავკაცად ბიშოვეცი დანიშნეს და ფეხბურთელებს ადრინდელზე გაცილებით მეტ პრემიალურებს დაჰპირდნენ, იურანი დიდი ხალისით შეხვდა ბიშოვეცის გუნდში მიწვევას. 19 აგვისტოს ამხანაგური მატჩისთვის შვედეთთან სერგეიმ დაუკითხავად მიატოვა „ბოხუმი“ და ბიშოვეცს ეახლა. ამან „ბოხუმის“ ხელმძღვანელობა აღაშფოთა და სერგეი იურანიც გუნდიდან დაითხოვა. გერმანელთა ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება იმან გამოიწვია, რომ იურანი ადრეც ხშირად არღვევდა კლუბის შინაგანაწესს, დისციპლინას, ერთხელ გერმანულმა პოლიციამ მთვრალი იურანი ავტომანქანის მართვისასაც გამოიჭირა და ყველაფერმა ამას „ბოხუმის“ ხელმძღვანელობის გადამჭრელი ზომების მიღება მოჰყვა. არადა, ამ კლუბს დიუსელდორფს „ფორტუნასგან“ იურანის შეძენა 2 მილიონი მარკა დაუჯდა, მაგრამ სერგეიმ ვერც ხელმძღვანელობის და ვერც ბოხუმელი ფანების გულის მოგება ვერ შეძლო და ახლა იძულებულია ახალი გუნდი გამოაჩხრეკინოს თავის აგენტს.

## ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი მატჩები

სპარტა (ჩეხეთი) — ***დინამო (უკრაინა)*** 0-1 (1-3 პენ.) (1-0).
შევჩენკო (88).
***ეინდჰოვენი (ჰოლანდია)*** — მარიბორი (სლოვენია) 4-1 (1-2)
0-1 ფილიპოვიჩი (5), 1-1 ვან ნისტელროი (8), 2-1 ბრუგინგი (69), 3-1 რომედალი (100), 4-1 დე ბილდე (102).
***კროაცია (ხორვატია)*** — სელტიკი (შოტლანდია) 3-0 (0-1)
მარიჩი (23), პროსინეჩკი (44, პენ, 68).
გრასჰოპერსი (შვეიცარია) — ***გალათასარაი (თურქეთი)*** 2-3 (1-2)
0-1, 0-2 შუკური (17,45), 1-2 თურქილმაზი (45), 2-2 ფოგელი (70 პენ.), 1-3 ჰაჯი (65 პენ.).
***სპარტაკი (რუსეთი)*** — ლიტექსი (ბულგარეთი) 6-2 (5-0)
1-0 ტიხონოვი (7), 1-1 ბელიაკოვი (28), 2-1 ტიხონოვი (30), 3-1 ტიტოვი (34), 4-1 ციმბალარი (49), 5-1 რობსონი (54), 5-2 ბუში (71), 6-2 რობსონი (90).
ობილიჩი (იუგოსლავია) — ***ბაიერნი (გერმანია)*** 1-1 (0-4)
1-0 სარაჩი (67), 1-1 მათეუსი (89).
ბრიუგე (ბელგია) — ***რუსენბორგი (ნორვეგია)*** 4-2 (0-2)
1-0 ფადიგა (23), 1-1 რუშფელდი (43), 2-1 კლასენსი (46), 2-2 რუშფელდი (71), 3-2 ჩოკერტი (77), 4-2 კლასენსი (84).
ლკს (პოლონეთი) — ***მანჩ. იუნაიტედი (ინგლისი)*** 0-0 (0-2).
***ბრონდბიუ (დანია)*** — კოშიცე (სლოვენია) 0-1 (2-0)
ლოპსანსკი (39).
სკონტო (ლატვია) — ***ინტერი (იტალია)*** 1-3 (0-4)
0-1 სამორანო (8), 1-1 მიხოლაპი (23), 1-2 გალანტე (54), 1-3 ჯორკაეფი (71).
ანორთოსისი (კვიპროსი) — ***ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)*** 2-4 (1-2).
1-0 მიჰაილოვიჩი (35), 1-1 გიორგიაკოსი (47), 1-2 ჯორჯევიჩი (57), 2-2 კრამარევიჩი (75), 2-3 ჯორჯევიჩი (80), 2-4 გოგიჩი (90).
ბეითარი (ისრაელი) — ***ბენფიკა (პორტუგალია)*** 4-2 (0-6)
0-1 ნუნო გომეში (18 პენ.), 1-1 ჰამარი (25), 2-1 სალოი (27 პენ.), 3-1 შიტრეტი (51), 4-1 აბუკსისი (81), 4-2 პრინგლი (90).
მეცი (საფრანგეთი) — ***ჰიკ (ფინეთი)*** 1-1 (0-1)
0-1 ვასარა (69), 1-1 მიურეი (79 პენ.).
უიპეშტი (უნგრეთი) — ***შტურმი (ავსტრია)*** 2-3 (0-4).
0-1 ჰაასი (8), 1-1 კოვაჩი (36), 1-2, 1-3 რეინმაიერი (50, 56), 2-3 ენეი (72).
***პანათინაიკოსი (საბერძნეთი)*** — სტიაუა (რუმინეთი) 6-3 (2-2).
1-0 მილოშევიჩი (8 პენ.), 1-1 რაშიტა (12), 1-2 ლუბიროპულოსი (16, საკ. კარში), 2-2 (ლინკარი (27, საკ. კარში), 3-2 ლუბიროპულოსი (35). 4-2 ვარჟიხა (58), 4-3 ბელოდედიჩი (61), 5-3 ვარჟიხა (66), 6-3 ასანოვიჩი (89).

## უეფას თასი

UEFA CUP

### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი მატჩები

როტორი (რუსეთი) — ***ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)*** 1-2 (1-2)
1-0 ზერნოვი (59), 1-1 ოგნიენოვიჩი (70), 1-2 დუდიჩი (80).
***რაპიდი (ავსტრია)*** — ომონია (კვიპროსი) 2-0 (1-3).
ჰერაფი (9), ვაგნერი (70).
შახტიორი (უკრაინა) — ***ციურიხი (შვეიცარია)*** 3-2 (0-4)
0-1 ბარტლეტი (19), 1-1 ორბუ (25), 1-2 ბარტლეტი (28), 2-1 ორბუ (70), 3-2 შტოლცერსი 90).
***სერვეტი (შვეიცარია)*** — ეკერენი (ბელგია) 1-2 (4-1)
0-1 კარლენი (6, საკ. კარში), 0-2 კარაგიანისი (43), 1-2 რეი (83, პენ.).
***აეკ (საბერძნეთი)*** — ფერენცვაროში (უნგრეთი) 4-0 (2-4)
ნიკოლაიდისი (8, 13 პენ., 26 პენ.), დონისი (63).
***გრაცერი (ავსტრია)*** — ვაასა (ფინეთი) 3-0 (0-0)
ლუხოვი (51), გრიმი (54), დრეჰსელი (90).
***ცსკა (ბულგარეთი)*** — მოლდე (ნორვეგია) 2-0 (0-0)
პეტკოვი (39), სტანჩევი (60).
***ფენერბახჩე (თურქეთი)*** — გიოტებორგი (შვედეთი) 1-0 (1-2)
ბალიჩი (64).
***სილკებორგი (დანია)*** — მურა (სლოვენია) 2-0 (0-0)
სორენსენი (63), ლარსენი (64).
პაოკ (საბერძნეთი) — ***რეინჯერსი (შოტლანდია)*** 0-0 (0-2)
ინტერი (სლოვაკეთი) — ***სლავია (ჩეხეთი)*** 2-0 (0-4)
ბაბნიკი (12), ოვადი (52).
ჟალგირისი (ლიტვა) — ***ბრანი (ნორვეგია)*** 0-0 (0-1).
ტრაბზონსპორი (თურქეთი) — ***ვისლა (პოლონეთი)*** 1-2 (1-5)
0-1 სანდი (53), 0-2 კულავიკი (62), 1-2 ჩიმსერი (68).
ოცელული (რუმინეთი) — ***ვეილე (დანია)*** 0-3 (0-3)
იუნგი (21), გრაულენდი (35), ვაელი (54).
***სტრომსგოდსეტი (ნორვეგია)*** — ჰაპოელი (ისრაელი) 1-0 (4-2 პენ; 0-1)
მიხელსენი (42).
***ანდერლეხტი (ბელგია)*** — ოსიეკი (ხორვატია) 2-0 (1-3)
აარსტი (4), სტოიკა (85).
კილმარნოკი (შოტლანდია) — ***სიგმა (ჩეხეთი)*** 0-2 (0-2)
ჰაინცი (13), მუხა (19).
მალმე (შვედეთი) — ***ჰაიდუკი (ხორვატია)*** 1-2 (1-1)
0-1, 0-2 ვუკო (41, 55), 1-2 ოლსონი (90).
***დინამო (რუსეთი)*** — პოლონია (პოლონეთი) 1-0 (1-0)
ტერიოხინი (89).

*შენიშვნა: ფრჩხილებში მოყვანილია პირველი მატჩის შედეგი. გამოყოფილია შემდეგ ეტაპზე გასული გუნდები. ეს შენიშვნა სამივე ტურნირს ეხება.*



„ობილიჩი“ – „ბაიერნი“. უტევს ელბერი (მარცხნივ)



# სილუეტები ბუნდესლიგის სტარტზე

გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა

**დაიწყო თუ არა გერმანიის 1998-99 წლების ჩემპიონატი, სულ ორი ტური გათამაშდა და უკვე საკმაოდ ხანგრძლივი შესვენება გამოცხადდა — ნაკრების მატჩების გამო მესამე ტური მხოლოდ 9 სექტემბერს გაიმართება. რა ცვლილებებია ბუნდესლიგაში? ვინ ითვლება მიმდინარე ჩემპიონატის საპრიზო ადგილებისა და პირველობის მთავარ პრეტენდენტად?**

როგორც წესი და რიგია, გუნდების ხელმძღვანელებმა ხანგრძლივი ასპარეზობის დაწყების წინ განცხადებები გააკეთეს. თუ ჩემპიონი „კაიზერსლაუტერნის" მწვრთნელ ოტო რეჰაგელს დავუჯერებთ, იგი წელს მიზნად ისახავს პირველი ადგილისათვის ბრძოლას, პირველ ხუთეულში გასვლითა და შემდეგ უეფას თასის გათამაშებაში მონაწილეობითაც დაკმაყოფილდება. მართალია, ამ სიტყვების დაჯერება ძნელია. გავიხსენოთ, რომ უკანასკნელი ჩემპიონატის მეორე წრის მიმდინარეობისას, როცა პირველი ადგილის მოპოვებას ბევრი აღარაფერი უკლდა, რეჰაგელი ჟურნალისტებთან შეხვედრაში აცხადებდა, რომ წელს „ბაიერნთან" კონკურენციას ვერ შეძლებს (შემდეგ კი ვნახოთო) და მეორე პრიზითაც სავსებით კმაყოფილი იქნება. ერთი სიტყვით, ჟურნალისტებისათვის კვალის აბნევა, თუ მას დაუჯერებენ, რა თქმა უნდა, რეჰაგელისთვის ჩვეულებრივი ამბავია. თანაც მას ჩინებული შემადგენლობა ჰყავს, შესანიშნავ სნაიპერ მარშალს დაემატა გიორგი ქინქლაძის ყოფილი პარტნიორი, „მანჩესტერ სიტიდან" მიწვეული, შედეგიანი თავდამსხმელი როსლერი. შესანიშნავად მოქმედებს გუნდის დირიჟორი სფორცა (შვეიცარია). რეჰაგელმა მიიწვია აგრეთვე მეკარე გოსპოდარეკი („ბოხუმიდან"), რომელიც ადრე წარმატებით იცავდა გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების კარს, და, ძირითად ეროვნულ ნაკრებშიც აქვს [illegible] ამასთან, დაცვა [illegible] რდა [illegible] ეგვიპტელით: [illegible] ბრემენის „ვერდერიდან" გადმოიყვანეს, იბრაჰიმი კი ქაიროს „ალ აჰლიდან". ერთი სიტყვით, ფიქრობენ, რომ „კაიზერსლაუტერნი", რომელმაც პირველ ტურშიც გაიმარჯვა და მეორეშიც, კვლავ პირველი ადგილისათვის იბრძოლებს. სხვა საკითხია, რომ ჩემპიონობის შენარჩუნება, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია, გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე მისი მოპოვება.

რა სიახლეებია გერმანიაში ყველაზე პოპულარულ და მდიდარ „ბაიერნში"? მიუნხენის კლუბის მესვეურები კმაყოფილი არ იყვნენ ჯოვანი ტრაპატონის მუშაობით. „ბაიერნისაგან" ხომ ყოველთვის პირველ ადგილს მოითხოვენ, იგი კი „მხოლოდ" მეორე იყო, ჩემპიონთა ლიგაშიც მისთვის მოკრძალებული შედეგი ჰქონდა — მეოთხედფინალში გავიდა, ეს კია, რომ გერმანიის თასი მოიპოვა. კლუბის პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა მოუხმო მრავალნაცად ოტმარ ჰიტცფელდს, რომელსაც ადრე ბუნდესლიგაში დიდი წარმატებები ჰქონდა, მაგრამ 1997-98 წლების სეზონში, მისი გაგებით, სრულიად უსამართლოდ შეცვალეს დორტმუნდის „ბორუსიაში" იტალიელი მწვრთნელით ნევიო სკალათი, მან კი გუნდი მხოლოდ მეათე (!) ადგილზე გაიყვანა. აი ახლა კი, ჰიტცფელდი აცხადებს, რომ „ბაიერნი" მხოლოდ პირველი ადგილისათვის იბრძოლებს, ყველაფერი დანარჩენი მისთვის მარცხად ჩაითვლება. რა თქმა უნდა, გუნდის შემადგენლობა სათანადოდ გაძლიერდა კიდეც. მთავარი შენაძენია განთქმული ნახევარმცველი, ნაკრებიდან მოკვეთილი (ეტყობა, მას მალე დააბრუნებენ) ეფენბერგი, რომლის ყოფილი გუნდი, მენხენგლადბახის „ბორუსია" კინაღამ მეორე ბუნდესლიგაში გადავიდა. დიდი სახელი აქვთ ირანელ თავდამსხმელ დაეისა და ახალგაზრდა ნახევარმცველ იერემისს, რომლის დიდი იმედები მსოფლიო ჩემპიონატში ჰქონდათ. „ბაიერნს" დაემატა გამოცდილი ბოსნიელი ნახევარმცველი სალიჰამიჯიჩი („ჰამბურგიდან"). რაც შეეხება გუნდის ბირთვს (კანი, მათეუსი, ბაბელი, ჰელმერი, ბასლერი, შტრუნცი, ლიზარაზიუ, ტარნატი, ელბერი, იანკერი), იგი მთლიანად შენარჩუნებულია. „ბაიერნმაც", ისევე, როგორც „კაიზერსლაუტერნმა" მოიგო პირველი ორი შეხვედრა.

ყოველ ახალ ჩემპიონატს, გასაგებია, თავისი სიურპრიზები მოაქვს, მაგრამ ახლა ჯერ ძნელი სათქმელია, ვინ ჩაერევა „ბაიერნისა" და „კაიზერსლაუტერნის" დავაში. ისე კი, ბევრმა კლუბმა შეძლო შემადგენლობის აშკარა გაძლიერება. პირველ რიგში ეს ითქმის დორტმუნდის „ბორუსიაზე", რომლის საშინელი მარცხი მარტო ნევიო სკალას კი არა, წამყვანი მოთამაშეების გაუთავებელ ტრავმებსაც დაბრალდა. კლუბის მესვეურებმა მთავარ მწვრთნელად მიიწვიეს მიხაელ სკიბე, რომელიც აქამდე ჭაბუკ ფეხბურთელებს ხელმძღვანელობდა, სათანადო რეპუტაციაც აქვს, მაგრამ ბუნდესლიგაში არასოდეს უმუშავია! რას მოიტანს ეს ექსპერიმენტი, სკალას თავგადასავალი ხომ არ გამეორდება? „ბორუსიაში" მიწვეულნი არიან: გამოჩენილი ნახევარმცველი ჰესლერი („კარლსრუედან"), მისი ყოფილი თანაკლუბელი ჰენგენი, ჰოლანდიელი მცველი ნეიჰეისი (იაპონიის „ურავი რედ დაიმონდზიდან"), ნახევარმცველები ნერლინგერი („ბაიერნიდან"), ბოსნიელი ბარბარეცი (როსტოკის „ჰანზადან"), ბრაზილიელი დუდე („ატლეტიკო მინეიროდან"), შოტლანდიელი ბუტი (დაბრუნდა ჰოლანდიის „უტრეხტიდან", სადაც იჯარით იმყოფებოდა).

საკმაო სიახლეებია თბილისელთა ნაცნობ „ბაიერშიც" (ლევერკუზენი). კრისტოფ დაუმის გუნდი არასოდეს ყოფილა ბუნდესლიგის ჩემპიონი, ახლა კი ამის პრეტენზია აქვს. მთავარ შენაძენად ითვლება ბრაზილიელი ნახევარმცველი ზე რობერტო. მასში ამ სეზონისათვის სარეკორდო თანხა — 6,7 მილიონი დოლარი (12 მილიონი მარკა) გადაიხადეს. ზე რობერტომ შეადგინა წყვილი მეორე ბრაზილიელთან — ემერსონთან. „ბაიერის" ახალწვეულებია პოლონელი მატირეკი, რომელიც ძირითადი მეკარე გახდა და აშშ-ს ნაკრების მოთამაშე ჰეიდუკი.

უამრავი ცვლილებაა სხვა კლუბებშიც, რომელთა ჩამოთვლაც, ცხადია, შორს წაგვიყვანდა. ბუნდესლიგაში გადმოსულმა, მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტმა", „ნიურნბერგმა" და „ფრაიბურგმაც", როგორც შეეძლოთ, ისე გააძლიერეს თავიანთი შემადგენლობები. „ფრაიბურგი", რომლის შემადგენლობაშიც ალექსანდრე იაშვილმა უკვე ორი გოლი გაიტანა, მეორე ბუნდესლიგაში ჩინებულად თამაშობდა. მისი შემადგენლობა ძირითადად ახალგაზრდულია, გუნდი ბრძოლისუნარიანია და სწრაფი ფეხბურთელები ჰყავს.

ბივი თორელი

## დიდი აჟიოტაჟია...

*უკრაინისა და რუსეთის ნაკრებების შეხვედრის ირგვლივ ევროპის პირველობაზე, რომელიც 5 სექტემბერს კიევში უნდა გაიმართოს. უკრაინული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არ გამორიცხავენ სხვადასხვა სახის პროვოკაციებს და გულშემატკივრების მუშტი-კრივსაც კი.*

*როგორც უკრაინული ნაციონალისტური ორგანიზაციის უნა-უნსოს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, მას და მის მომხრეებს სულაც არ სურთ კიევის სტადიონზე რუს ფანატიკოს გულშემატკივრებთან „ყინულზე ომის" (ალექსანდრე ნეველი ტევტონების წინააღმდეგ) მსგავსი რამ მოაწყონ. „ჩვენ მხოლოდ იმ საკითხში გვსურს შეჯიბრება, ვინ უფრო მეტ გულშემატკივარს მიიყვანს სტადიონზე. საპასუხო შეხვედრაზე (1993 წლის 9 ოქტომბერს) ჩვენ ვაპირებთ მოსკოვში, როგორც მინიმუმი, 5000 გულშემატკივრის გაგზავნას. ამისათვის ჩვენ სწრაფად უნდა დავაარსოთ ფან-კლუბები". დღეისათვის უკვე დაარსებულია 5 ასეთი გაერთიანება.*

*ამის მიუხედავად, უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია და უკრაინის სამართალდამცავი ორგანოები ცდილობენ ყოველი ღონისძიება მიიღონ, რომ დააშოშმინონ გულშემატკივრები.*

## ფიქრები ფეხბურთის მომავალზე

### ტერი ვენეიბლსი (ინგლისი)



ტერი ვენეიბლსი

სხვადასხვა დროს წვრთნიდა ინგლისურ კლუბებს, „ბარსელონას", ინგლისისა და ავსტრალიის ნაკრებებს.

როგორც ვენეიბლსმა განაცხადა, როცა რომელიმე გუნდში მუშაობას იწყებდა, თავიდანვე საკუთარ თავს ასეთ კითხვას უსვამდა: აქ ადრე მოქმედი სათამაშო სტილი (სქემა) შეენარჩუნებინა თუ რაიმე ახალი შეეთავაზებინა, პირველ რიგში შეტევაში? რამდენი უნდა ყოფილიყო თავდამსხმელთა მაქსიმალური რიცხვი, მცველების მინიმალური რაოდენობა, რომ გუნდს წარმატებით მიეტანა იერიში და თავით კარგად დაეცვა. დასაწყისში მან გადაწყვიტა, რომ შეტევის ხაზზე 5 ფეხბურთელი ჰყოლოდა და ამდენივე — დაცვაში. ჯერ ამ სქემით ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი 4+6 სისტემაზე გადავიდა, ბოლოს კი — 3+7 აირჩია. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვენეიბლსს მინდორზე 7 თავდამსხმელი გამოჰყავდა. ამ 7 კაცს შორის ნახევარმცველებიც იყვნენ და მცველებიც, რომლებიც, როცა გუნდი უტევდა, იერიშში აქტიურად მონაწილეობდნენ.

სანამ მოთამაშეებს დაარწმუნებდა, რომ ეს სისტემა წარმატებას მოიტანდა, ჯერ საჭირო იყო თანაშემწეების დარწმუნება. ისინი ხომ ჩამოყალიბებული შეხედულებების ადამიანები იყვნენ, ასე ერთბაშად აზრს არ შეიცვლიდნენ. ამის მიუხედავად ვენეიბლსი ყოველთვის ახერხებდა იმას, რომ თანაშემწეები მის მხარეზე გადაეყვანა, ახალ შეხედულებებით თვალსაზრისს იზიარებდნენ.

გუნდის ოსტატობა ვენეიბლსის აზრით, იმითი უნდა განისაზღვროს, თუ როგორ გადადის იგი შეტევიდან დაცვაზე. როგორც წესი, შემტევი მოთამაშეები, ბურთს რომ დაკარგავენ, სწრაფად უნდა დაბრუნდნენ უკან, დაცვით პოზიციებზე. ხშირად მათ ამისათვის მაქსიმალური სისწრაფით უნდა გაირბინონ რამდენიმე ათეული მეტრი.. და რახან თამაშისას ამნაირი სიტუაცია მრავალგზის წარმოიქმნება, ამას ფეხბურთელების დაღლამდე და მათი შრომისუნარიანობის დაქვეითებამდე მივყავართ. ამიტომ ვენეიბლსი შეეცადა შეტევიდან თავდაცვაში გადასვლისას თამაშის ისეთი სქემა მოენახა, რომ ფეხბურთელებს ბურთზე კარგი კონტროლი შეძლებოდათ, რათა იგი იშვიათად დაეკარგათ და მეორე, მინდორზე სწორი პოზიციები დაეკავებინათ. თუკი ბურთი მაინც იკარგებოდა, ფეხბურთელები სასწრაფოდ სამ ჯგუფად უნდა განაწილებულიყვნენ. პირველი ჯგუფის წევრები დაუყოვნებლივ იწყებდნენ დაკარგული ბურთისათვის ბრძოლას, მეორენი გადაკეტავდნენ მეტოქის შესაძლო შეტევის მიმართულებას, მესამენი კი უბრუნდებოდნენ თავიანთ ზონებს. თამაშის ასეთი ორგანიზაციისას მცირდებოდა პრიმიტიული სირბილის რაოდენობა, მოთამაშეები მეტ ძალას ინახავდნენ მინდორზე შემოქმედების გამოსავლენად.

თამაშის ტაქტიკის საკითხში ვენეიბლსს პერსპექტიულად მიაჩნია „დროებითი ბლოკები" 10-15 წუთით, როცა გუნდი ჯერ დინჯად მანევრირებს, შემდეგ კი „შოკურ" იერიშს იწყებს, მუდმივად უტევს და ჰქანცავს მეტოქეს.

ვენეიბლსმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში მეტად არსებითი ცვლილებები მოხდა კლუბების ფინანსურ საქმიანობაში. ზოგი კლუბი სააქციო საზოგადოება გახდა, მისი აქციები ბირჟებზეა კოტირებული, ამ კოტირებების შეცვლა კი კლუბის პრეზიდენტებს ატკიებს თავს.

კლუბშიც და ნაკრებშიც მთელი საორგანიზაციო მუშაობა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ მწვრთნელებსა და მოთამაშეებს არავითარი პრობლემები არ შეექმნათ.

დასასრულს, ვენეიბლსმა აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მწვრთნელის მუდმივ მუშაობას პრესასთან, რადგან სწორედ ამაზეა დამოკიდებული გუნდის ცხოვრების ატმოსფერო. ჟურნალისტები არ შეიცვლებიან, ისინი ისეთებად უნდა აღვიქვათ, როგორნიც არიან და საჭიროა მათთან თანამშრომლობა.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ვეა ნაკრების გარეთ

**1995 წლის მსოფლიოს რჩეული ფეხბურთელი, შავკანიანი ლიბერიელი ფორვარდი ჯორჯ ვეა, რომელიც იტალიურ „მილანში" გამოდის, ამიერიდან ეროვნულ ნაკრებში აღარ ითამაშებს. 32 წლის ჯორჯმა ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება: „ჩემი ქვეყნისა და გუნდისათვის ბევრი გავიღე. ახლა კი ვგრძნობ, რომ საკმაოდ დავბერდი, რათა ლიბერიის ნაკრების მატჩებზე განუწყვეტლივ ვიმოგზაურო ევროპიდან აფრიკაში. ამიერიდან მთელ ყურადღებას მხოლოდ „მილანზე" გადავიტან.**

მაშ ასე, შავი კონტინენტის მომავალი პრესტიჟული ასპარეზობა აფრიკის თასი 2000-ის შესარჩევი ტურნირი, ვე





ას გარეშე ჩაივლის. შეჯიბრებაში აფრიკის თითქმის ყველა ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას. შეიქმნა 7 შესარჩევი ჯგუფი. პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები ფინალურ ტურნირში იასპარეზებენ. მათ გარდა იქნებიან ზიმბაბვე — ფინალური ეტაპის მასპინძელი და ეგვიპტე — თასის მფლობელი.

### ბრაზილიელები მზად არიან...

...მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატს უმასპინძლონ. ასეთი განცხადება გააკეთა ბრაზილიის სპორტის მინისტრის პაულო სოუზას დავალებით ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა რიკარდო ტეიშეირამ. მინისტრს კი მითითება, თავის მხრივ, ქვეყნის პრეზიდენტმა ფერნანდუ კარდოზუმ მისცა.

ტეიშეირამ განაცხადა, რომ სექტემბრიდან დაიწყებს მოლაპარაკებას სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციებთან, რათა მათ მხარი დაუჭირონ ბრაზილიის კანდიდატურას, მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორობაზე.

თუ ბრაზილიამ ეს უფლება მიიღო, მაშინ იგი მსოფლიო ჩემპიონატს უკვე მეორედ ჩაატარებს.

### საუკეთესოდ ბელი აღიარეს

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ ჩაატარა კონკურსი მეოცე საუკუნის საუკეთესო აფრიკელი მეკარის დასასახელებლად. მასში აფრიკის ყველა ქვეყნის სპეციალისტები და ჟურნალისტები მონაწილეობდნენ.

პირველ ადგილზე გავიდა ჟოზეფ-ანტუან ბელი (კამერუნი), რომელმაც 32 ხმა მიიღო, მან 9 ხმით გაუსწრო კიდევ ერთ კამერუნელს, ცნობილ ტომას ნ'კონოს.

ჟოზეფ-ანტუანი დაიბადა 1954 წელს. 1984 წელს აფრიკის ჩემპიონი გახდა, 1982 და 1994 წლებში მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატებში ესპანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო 1990 წელს იტალიაში სათადარიგო მეკარე იყო.

### „ვთქვი, რომ ოუენი სუპერვარსკვლავი გახდებოდა"

1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი მარკო ტარდელი ახლა იტალიის ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად მუშაობს. იგი აცხადებს, რომ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ევროპაში „ლივერპულის" თავდამსხმელ მაიკ ოუენს მიიჩნევს, მაგრამ ფიქრობს, რომ იგი ვერაფერს აწყობს მაღალი კვალიფიკაციის მქონე იტალიელ მცველებთან.

— როცა შემეკითხნენ, რომელი ახალგაზრდა ევროპელი მოთამაშე შეიძლებოდა სუპერვარსკვლავი გამხდარიყო, მე ასეთად მხოლოდ ერთი — ოუენი მივიჩნიე. მაგრამ მან, ჩემი აზრით, კიდევ ბევრი უნდა იმუშაოს. ამას წინათ თვალყურს ვადევნებდი „მილანისა" და „ლივერპულის" ამხანაგურ მატჩს. აქ ოუენს საკმაოდ გაუჭირდა. მას მალიან კარგად ეთამაშა მცველი ფრანჩესკო კოლონეზე.

პროფესიული კრივის სამყაროში

# „დონ კინგის ცხოვრება და დანაშაული“

ასე ეწოდება ამერიკელ ჟურნალისტ ჯეკ ნიუფილდის წიგნს, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. ჟურნალისტი დაწვრილებით და დამაჯერებლად აღწერდა პრომოუტერ დონ კინგის თაღლითობებს, თუ როგორ ატყუებდა იგი გამოჩენილ მოკრივეებს, სიტყვით კი ეხმარებოდა და ცხოვრებაში გზას უკვლევდა. 1997 წელს ამ პოპულარული წიგნის მასალებით მხატვრული ფილმიც კი გადაიღეს, სადაც თვალნათლივ აჩვენეს, თუ რას წარმოადგენს ეს გაიძვერა მაფიის მფარველობით მოქმედი დამნაშავე. დონ კინგს თავზარი დაეცა. მას უნდოდა ჟურნალისტის წინაალმდეგ საქმეც კი აღეძრა, მაგრამ როგორ უნდა უჩივლო კაცს, რომლის მიერ მოყვანილი თითოეული ფაქტი სრულიად აშკარად არის დამტკიცებული, უნდა ადგე და გაჩუმდე. ისიც კარგია, რომ არ გაკითხავენ და ოთხკლიტულში არა გსვამენ.

ჩვენს მკითხველს დიდი ახსნა არა სჭირდება, თუ ვინ არის ეს დონ კინგი, უზარმაზარი ტანის, მრისხანე გამომეტყველებით, სათვალით. წლების განმავლობაში იგი გამოჩენილი მოკრივეების, მსოფლიო ჩემპიონებისა თუ ექს-ჩემპიონების პრომოუტერი იყო, დიდი მნიშვნელობის ბრძოლებს აწყობდა, თუმცა, ახლაც აწყობს...

ყველაფერი კი ასე დაიწყო, 1981 წელს ფედერალურ საპყრობილეში, სადაც იგი კაცის მკვლელობისთვის სასჯელს იხდიდა, დონ კინგმა ტელევიზიით ნახა ისტორიული მნიშვნელობის მქონე მატჩი კინშასადან მუჰამედ ალისა და ჯორჯ ფორმენს შორის. ამ შეხვედრას მაშინ მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალს. კინგმა გადაწყვიტა, როგორც კი ციხეს დატოვებდა, მაშინვე კრივის სამყაროსთან დაემყარებინა კავშირი. არა, თვითონ კი არ იბრძოლებდა, სხვისი გამოსალაყებელი თავი სად ჰქონდა.

1975 წლიდან მოყოლებული, დონ კინგმა მატჩების ორგანიზება დაიწყო. საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდა ჩაკ ვეპნერთან, რომელიც ლიქიორით ვაჭრობდა და თანაც პროფესიული მოკრივე იყო, ისეთი ძლიერი, რომ „სისხლის გამომშვების“ მეტსახელიც კი მიიღო. კინგს შეეძლო მოკრივისათვის იმიჯი შეექმნა, მეცენატებისთვისაც მიეკითხა და კარგი გვარიანი თანხაც ჯიბეში ჩაედო. მუჰამედ ალისა და ჩაკ ვეპნერის მატჩის მოწყობამ მას დიდი სახელი მოუტანა.

ახლა, ექსპერტებს რომ კითხოთ, კინგმა მუჰამედ ალიც არაერთხელ მოატყუა, გნებავთ ჯორჯ ფორმენიც და მრავალი სხვაც. მოკრივეები, თუმცა მთელ მსოფლიოში განთქმული ხალხია, ფინანსურ საკითხებში დიდად ვერ ერკვევიან, თუმცა, ამას ხომ ვერც სხვა სპორტსმენები დაიკვეხნიან. ასეთი შემთხვევაც ბევრჯერ ყოფილა: კინგს მოკრივისათვის კონტრაქტის ცარიელი ბლანკი გადაუცია. სპორტსმენი არცკი დაფიქრებულა, ცარიელი ბლანკისათვის, უბრალოდ, ხელი მოუწერია. შემდეგ, გაქნილი კინგი, ამ დოკუმენტს, როგორც უნდოდა ისე შეავსებდა. ხშირ შემთხვევაში საქმე მილიონიან თანხებს ეხებოდა. ვინ იყო განმკითხველი.



დონ კინგი

თუმცა, ზოგჯერ საქმე მთლად ასე არ იყო. მსოფლიო ექს-ჩემპიონი მძიმე წონაში ტიმ ვიტერსპუნი მიხვდა, რომ კინგი აშკარად ატყუებდა. პრომოუტერი რომ კარგად გამოლანძღა, ადგა და სასამართლოში უჩივლა. მაშინ კინგმა იმ ადამიანებს მიმართა, რომლებიც ყოველთვის ხელს უმართავდნენ. გაუმართეს და თანაც როგორ! ტიმ ვიტერსპუნი (რა თქმა უნდა, არაოფიციალურ) შავ სიაში შეიტანეს. სად არ წავიდა მოკრივე, ხან აქეთ ეცა, ხან იქით, მაგრამ შვიდი წლის განმავლობაში ერთი რა არის, ერთი მატჩის მოწყობაც კი ვერ მოახერხა. არც ერთმა მოკრივემ არ მოისურვა მასთან შეხვედრა, ათი თავი ვის ჰქონდა, მართალია, 7 წელი რომ გავიდა და მოკრივე გვარიანად გალატაკდა, მას კინგმა 1,2 მილიონი დოლარი გადაუხადა. მოკრივემ, ამდენი წელი რომ დაკარგა, ცოტა სული კი მოითქვა, (ეს თანხა დონ კინგისთვის, შეიძლება ითქვას, არაფერს წარმოადგენდა), მაგრამ სპორტში მისი დრო წავიდა. ასეთი იყო გაქნილი საქმოსნის შურისძიება.

რაც შეეხება მუჰამედ ალის, რომელიც უაღრესად ავტორიტეტულმა ჟურნალმა მეოცე საუკუნის საუკეთესო მოკრივედ აღიარა (მეორე ადგილი ჯო ლუისს მიეკუთვნა), დონ კინგი არც მას მოერიდა. ლარი ჰოლმსთან მატჩის შემდეგ კინგმა ალის ჰონორარიდან მთელი 2 მილიონი დოლარი ჩაიჯიბა. რა თქმა უნდა, ალისაც შეეძლო სასამართლოში ეჩივლა, მაგრამ ამ ჯენტლმენმა და რაინდმა, უბრალოდ, არ იკადრა. უარესიც მოხდა — ალი მძიმედ გახდა ავად (ეს წყეული პარკინსონის ავადმყოფობა!), ლაზარეთში კი, ვითომც არაფერი მომხდარაო, დონ კინგი ეწვია და 50 ათასი დოლარის ჩეკი გადასცა.

ყველაზე დიდი სკანდალი კი კინგს მაიკ ტაისონთან მიუვიდა. რა თქმა უნდა, მაიკს სხვებმა აუხილეს თვალი, თორემ შეიძლებოდა ვერაფერს მიხვედრილიყო. ოფიციალური ცნობებით, ბოლო 6 მატჩისათვის ტაისონმა 112 მილიონი დოლარი ჰონორარი მიიღო. ეს თანხა, ყოველ შემთხვევაში, მისი დიდი ნაწილი, სადღაც გაქრა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ტაისონმა გადასახადიც კი ვერ გადაიხადა. აი, მაშინ კი, ძალიან გამწარდა: მიმართა ადვოკატებს და საკმაოდ იოლად დადგინდა, რომ პრომოუტერმა მისი 45 მილიონი დოლარი მიითვისა. ამას მოკრივემ ისე უპასუხა, როგორც მას ესმის. მიუვარდა კინგს და კარგი ლაზათიანი სთხლიშა, სანამ ხელიდან არ გამოგლიჯეს, რა თქმა უნდა, ყოველგვარი კავშირი მათ შორის შეწყდა. ახლა მაიკმა გადაწყვიტა არავითარ შემთხვევაში აღარ შეარჩინოს ასეთ მატყუარას, საუკეთესო ადვოკატები დაიქირავა და იმედი აქვს, რომ დონ კინგს 100 მილიონ დოლარს გადაახდევინებს. ვინ იცის?! თუ სასამართლოში ვერაფერი დაუმტკიცა, ხომ შეიძლება ტაისონი ერთ მშვენიერ დღეს მოთმინებიდან გამოვიდეს და...

გივი თხინვალელი

## ლევან სანაძე



გარდაიცვალა სპორტის დამსახურებული ოსტატი, XV ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი, სსრ კავშირის მრავალგზის პრიზიორი, საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი მძლეოსნობაში ლევან სანაძე.

დაიბადა 1929 წ. 16 აგვისტოს ქ. თბილისში. სკოლა დაამთავრა ოქროს მედალზე, შემდეგ სწავლობდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მუშაობდა მასალათგამძლეობის კათედრაზე დოცენტად.

წლების განმავლობაში იყო საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი. 1973 წელს გადაიყვანეს მოსკოვში ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში მთავარი სამმართველოს უფროსად. შემდეგი წლების განმავლობაში იქვე ხელმძღვანელობდა მძლეოსნობის სამმართველოს. დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით, იუნესკოს ოქროს მედლით.

წავიდა ჩვენგან დიდი სპორტსმენი, გამოცდილი სპორტული მუშაკი, მეცნიერი, პატიოსანი, ერუდირებული ადამიანი. მისი ცხოვრების გზა სამაგალითო იქნება ჩვენი მომავალი თაობებისათვის.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი,
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი,
საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია.

საქართველოს რკინიგზის ცენტრალური სპორტული კლუბი „ლოკომოტივი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მძლეოსანი და სპორტული მუშაკი

ლევან სანაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## რა ხდება ქვეყანაზე

### შეიძლება უცხოეთს მიაშუროს

ბუდაპეშტში მძლეოსანთა ევროპის მე-17 პირველობაზე გამართულ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტები გააოცა ევროპის ორგზის ჩემპიონმა ბირთვის კვრაში ხარკოველმა ვიტა პავლიშმა. მან განაცხადა, რომ თავისი მეუღლემ, ბერძენ არისტოტელეს მსგავსად, მიიღო მაჰმადიანობა, ფიქრობს, რომელიმე სხვა ქვეყნის სახელიც კი დაიცვას.

რაც შეეხება ბუდაპეშტის ევროპის ჩემპიონატს, მის ნაკლად ვიტა პავლიშმა ის ჩათვალა, რომ შეჯიბრების დროს ფაქტობრივად, ღირსეული მეტოქეები არა ჰყავდა. მისი შედეგი იყო 21 მ და 69 სმ, მაშინ, როდესაც მეორე ადგილზე გასულმა ირინა კორჟანენკომ (რუსეთი) ბირთვი 19 მ და 71 სმ-ზე ჰკრა.

### გაქირავეულდნენ ფედოროვიც, კურნიკოვაც...

ჰოკეის კლუბ „დეტროიტ რედ უინგზის“ ვარსკვლავმა სერგეი ფედოროვმა და უკვე საკმაოდ ცნობილმა ჩოგბურთელმა ანა კურნიკოვამ თითქმის ერთდროულად გაწყვიტეს ურთიერთობა თავიანთ აგენტებთან. რახან ფედოროვი და კურნიკოვა მეგობრობენ (ფედოროვი არ აცდენს ხოლმე ჩოგბურთელის მატჩებს), ფიქრობენ, რომ ამ გადაწყვეტილების წინ ისინი ერთმანეთს მოელაპარაკნენ კიდეც.

ის, რომ ფედოროვმა გაწყვიტა ურთიერთობა თავის მრავალწლიან აგენტ მაიკ ბარნეტთან (რომელიც აწარმოებს უეინ გრეცკის, იარომირ იაგრის, ბრეტ ჰალისა და სხვათა საქმეებს), ცოტა არ იყოს, მოულოდნელია. სულ რამდენიმე თვის წინათ სწორედ ბარნეტმა მიაღწია ფედოროვისთვის ჩინებულ კონტრაქტს, რომლის მიხედვითაც მას უახლოესი 6 წლის განმავლობაში 36 მილიონი დოლარი უნდა მიეღო. ამასთან, 24 ფედოროვმა უკვე მიიღო, თუმცა დათქმული 82 კალენდარული თამაშიდან სულ 21 ჩაატარა.

რაც შეეხება კურნიკოვას, იგი წაეჩხუბა აგენტ ტონი გოდსიკს, რომელიც ბარნეტის სააგენტო IMG-ს წევრია.

## ფანტასტიკური ნახტომი — 142-დან მერვემდე!

კარგა ხანია, აღარავის სჯერა, რომ რომელიმე ჩოგბურთელი შეძლებს უახლოეს წლებში (უფრო სწორად, ვინ იცის, რამდენი წელი გავა!) „დიდი მუზარადის“ მოპოვებას, დიახ, ერთი სეზონის განმავლობაში ოთხი ძირითადი ტურნირის: 1) ავსტრალიის ღია პირველობის, 2) როლან გაროსის, 3) უიმბლდონის და 4) ფლეშინგ მიდოუს მოგებას. ეს ხომ უკანასკნელად 1988 წელს შტეფი გრაფმა შეძლო და ამით ჩოგბურთის ისტორიაში მეხუთე გახდა, ვინც ასეთი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა, მანამდე კი „დიდ მუზარადს“ დონ (დონალდ) ბაჯი (აშშ), მორინ კონოლი (აშშ), როდ (როდნეი), ლეივერი (ავსტრალია) და მარგარეტ სმით-კორტი (ავსტრალია) ფლობდნენ. ეტყობა, წავიდა ის დრო! ახლა კი ჩოგბურთის სტატისტიკოსები სხვანაირ თვლას აწარმოებენ: რახან „დიდ მუზარადს“ უკვე ათი წელია აღარავინ იგებს, ისინი იმას ითვალისწინებენ, ვინ რამდენ ტურნირში გაიმარჯვა, ამ ჩათვლას რომ მიეკუთვნება!

ამ რამდენიმე დღეში „დიდი მუზარადის“ უკანასკნელი წლევანდელი ტურნირი დაიწყება: ფლეშინგ მიდოუ (რაც ინგლისურად „აყვავებულ ხეობას“ ნიშნავს) ანუ აშშ-ს ღია ჩემპიონატი. მასში ყველა გამოჩენილი ოსტატი აპირებს მონაწილეობას, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის.

ვაჟებში კომპიუტერული რეიტინგით ახლა პირველ ადგილზე ჩილელი მარსელო რიოსია, ამასთან, არა იმდენად საკუთარი წარმატებების, არამედ უფრო პიტ სამპრასის შედარებითი მარცხის წყალობით. წლეულს უკვე იყო ერთი შემთხვევა, როცა ჩილელმა, რომელიც არ უყვართ არც გულშემატკივრებს და არც ჟურნალისტებს (მაგრამ სამაგიეროდ, აღმერთებენ სამშობლოში!), მცირე ხნით შეძლო სამპრასის ჩამოტოვება. სულ მალე ამერიკელმა ოსტატმა აღადგინა „სტატუს კვო“. და აი, სულ რამდენიმე ხნით წინათ რიოსმა, მართალია, ცოტათი, ისევ გაუსწრო სამპრასს. ამ დღეებში ამერიკელს ისევ ჰქონდა პირველ ადგილზე გადასვლის საშუალება, ამასთან მას მატჩი უნდა მოეგო არა რიოსთან, არამედ ავსტრალიელ რაფტერთან. დიახ, სულ ერთ შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა, თუნდაც დროებით, მეტად მნიშვნელოვანი საკითხი — ვინ არის მსოფლიოს №1 ჩოგბურთელი.

ეს საერთაშორისო ტურნირი ცინცინატში (აშშ). თავისებური რეპეტიცია ფლეშინგ მიდოუს წინ, ორივე გამოჩენილმა ოსტატმა კარგად წარმართა. სამპრასმა დამაჯერებულად მოუგო სპეიდის (აშშ) — 6:3, 6:2, შემდეგ მძაფრ ბრძოლაში ლარსონს (შვეცია) — 7:5, 2:6, 6:1, ხოლო რაფტერმა — კორდას (ჩეხეთი) — 6:4, 7:6 და კაფელნიკოვს (რუსეთი) — 7:5, 6:0.

ფინალში სამპრასი ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან, თითქმის დარწმუნებულიც, მაგრამ უკანასკნელ მომენტში მაინც დათმო — 6:1, 6:7, 4:6. ფიქრობენ, რომ იგი ძალიან მოადუნა პირველ სეტში სრულიად იოლმა მოგებამ, აგრეთვე იმის გრძნობამაც, რომ აქამდე იგი დიდი წინაალმდეგობის გარეშე აღწევდა წარმატებას ავსტრალიელთან. დიახ, მდგომარეობა შეიცვალა და ახლა თუ ფლეშინგ მიდოუ არ მოიგო, მსოფლიოს ყოფილი უძლიერესი ჩოგბურთელის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება.

აქამდე ფიქრობდნენ, რომ აშშ-ს ღია პირველობაზე ძირითადი პრიზისათვის სამპრასი და რიოსი იბრძოლებდნენ. ახლა მიმომხილველთა აზრი, მას შემდეგ, რაც რაფტერმა მოიგო მეტად ძლიერი ტურნირები ჯერ ტორონტოსა და შემდეგ ცინცინატში, აშკარად შეიცვალა. ასახელებენ უკვე ტრიოს: სამპრასს, რიოსსა და რაფტერს.

ამ სამი „გოლეადორის“ გარდა, მიმომხილველები დიდ ყურადღებას აქცევენ იმ ამბავს, რომ თითქოს „მკვდრეთით აღდგა“ ანდრე აგასი. პოპულარული ჩოგბურთელი, რომელიც 1995 წელს მსოფლიოში პირველი იყო და სამპრასთანაც კი უპირატესობა ჰქონდა, შემდეგ თანდათან დაეშვა 142-ე (!) ადგილამდე, მასზე ხელი ჩაიქნიეს! აგასი შარშან 121-ე იყო. (რა ბედენაა ეს ყოფილი №1 ჩოგბურთელისთვის!). წლეულს კი იმდენი ითამაშა, რომ ბევრი იმ ადრინდელ აგასიზე ლაპარაკობს. ჯერ ოცეულს მიუახლოვდა, შემდეგ მეთერთმეტე იყო, ახლა მსოფლიოში მერვეა! ამას წინათ საკმაოდ იოლად მოუგო თვით სამპრასს. ვინ იცის!

ქალთა შორისაც ელიან ახალ ინტრიგას. მას შემდეგ, რაც უიმბლდონში გაიმარჯვა, მსოფლიოს №1 ჩოგბურთელი მარტინა ჰინგისი თითქმის არ თამაშობდა. სამაგიეროდ, ძალიან ბევრ შეჯიბრებაში მონაწილეობდა ოლიმპიური ჩემპიონი ლინდსეი დევენპორტი. დიდი შთაბეჭდილება დატოვა მისმა ბრწყინვალე გამოსვლებმა კალიფორნიაში, სადაც ამერიკელმა ზედიზედ მოიგო ძლიერი ტურნირები ჯერ სტანფორდში, შემდეგ კი სან-დიეგოში.

და აი, როგორც ჰინგისმა, ისე დევენპორტმა იმავე კალიფორნიაში მონაწილეობა მიიღეს მანჰეტენ-ბიჩის მეტად ძლიერ ასპარეზობაში. ამასთან, ორივე გავიდა ფინალში. ჰინგისმა გზიდან ჩამოიცილა ჯერ სერენა უილიამსი (აშშ) — 6:4, 6:1, ხოლო შემდეგ სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) — 6:4, 6:4. ამასობაში დევენპორტმა მოუგო ჯერ ზვერევას (ბელარუსი) — 6:2, 6:3, შემდეგ კი სელეშს (აშშ) — 6:4, 6:2.

ფინალში მსოფლიოს მეორე ჩოგანმა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა სძლია პირველს — 4:6, 6:4, 6:3!

„ლელოს“ რედაქცია სტაჟირებაზე, შემდეგ კი გაზეთში მუშაობის პერსპექტივით, იწვევს 19-25 წლის ვაჟებს.

## ფოტოკროსვორდი

ფოტოზე აღბეჭდილია მსოფლიოს სხვადასხვა დროის ფეხბურთის 7 ვარსკვლავი. ამოიცანით მათი ვინაობა.




**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 5. ტაფარელი, 6. ბრაზილია, 7. „სტანდარდი“, 11. ვეირი, 14. სამბო, 15. იონსენი, 16. ბარონი, 17. ხარინი, 21. არტერია, 22. მარკა, 23. ოდერი, 26. „კატენაჩიო“, 27. ანატოლია, 28. რამირესი. შვეულად: 1. გალაჰერი, 2. ხენტო, 3. განდი, 4. სინაგოგა, 7. „ოდენსე“, 9. გრამატიკა, 10. ბაბანგიდა, 12. კორნერი, 13. ანტალია, 18. სტადიონი, 19. ვერონი, 20. „სარაგოსა“, 24. შავლო, 25. ბირმა.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(თბილისი)



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ლg5! - ცუგცვანგი.
1. ...f1ლ 2. მf2+ მფ:f2 3. ლg3X.
1. ...f1მ 2. ლfd5+ მფg1 3. მe2X.
1. ...მფf1 2. მe3+ მფe1 3. ლa5!

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე